190
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

1958



# პიონერი

მუსიკა თ. ხატიაშვილისა

# პიონერული მარში

სიტყვები შ. ლებან...

ბავშვთა სამხმიანი გუნდისათვის, ფორტეპიანოს თანხლებით




ბევრი გზები გადავლო,
ბევრი ტევრი გაწალდა
პიონერთა ოჯახმა
ბევრი გმირი გაზარდა.

მ ი ს ა მ ღ ე რ ი

თუ ხარ კლასში ბეჯითი,
შინ – გამრჯე და ყოჩაღი,
ჩვენსკენ! ჩვენსკენ! ყოფილხარ
ღირსი ჩვენი ოჯახის.

მ ი ს ა მ ღ ე რ ი





ნახ. რ.

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

5

მაისი

1958











## შინაარსი

გვ.

**გენიალური მასწავლებელი** „პიონერსკაია პრავდა"-დან . 2
**ო. შალამბერიძე** — სამაისო სიმღერა (ლექსი) . . 4
**გ. კლდიაშვილი** — მასწავლებელი (ლექსი) . . . . 4
პიონერული ამბები საზღვარგარეთიდან . . . . . . 5
**რ. ჩაჩანიძე** — ვერცხლის ხეობის საიდუმლო (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . . 6
**ზ. ლეშკაშელი** — ძალოსნობა (წერილი) . . . . . 12
**თ. ჯანგულაშვილი** — მტრედები პიონერთა სასახლეში (ლექსი) . . . . . . . . . . . . . 13
**მარსელინო სალინასა** — ქოშაგი (მოთხრობა, თარგმნა ბ. მირცხულავამ) . . . . . . . . . . . . . 14
**ზ. მესენგისერი** — დიდი ოჯახი (ნარკვევი) . . . . 16
**ო. ჯიბლაძე** — ჯუჯა სახელმწიფოები (წერილი) . . 17
**რ. ინანიშვილი** — სინათლე (მოთხრობა) . . . . . . 18
ორი ძმა. ბებერი ძაღლი და მელია ზღაპრები, თარგმნა მ. კიკნაძემ) . . . . . . . 22
**დ. ნოზაძე** — როგორ გავრცელდა კარტოფილი . . 23
**ლ. სადრაძე** — პიონერული ამბები გერმანიიდან . . 24
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . 25
**ორჰან ქემალი** — ინჯი და მისი მამა (მოთხრობა, თურქულიდან თარგმნა ლ. ერაძემ) . . . . . . 26
**ვ. მარგველაშვილი** — შეხვედრები ბათუმის ნავსადგურში . . . . . . . . . . . . . . . . 28
მითოლოგიური ლექსიკონი . . . . . . . 29
**ე. ჟორჟოლიანი** — კვაჭირის პიონერებთან (წერილი) 30
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31
**ვ. სიდამონიძე** — გამოჩენილ ადამიანთა შესახებ (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 32

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის **დ. ნოდიას.** მეორე გვერდზე — პიონერული მარში, სიტყვები **მ. ლებანიძისა,** მუსიკა **თ. ხატიაშვილისა.** მესამე გვერდზე — გასართობი, მეოთხეზე — პატარა მოქანდაკე **ა. ანთაძის** ნამუშევრები.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **დ. ხახუტაშვილის, დ. ნოდიას, რ. ცუცქირიძის, ნ. შალიკაშვილის** და **ვ. ბელეცკაიას** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი
XXXII

საბლითგამი

7556

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 140 წელი კარლ მარქსის დაბადებიდან



# გენიალური მასწავლებელი

ბავშვებო, თქვენ იცნობთ კარლ მარქსს. მის პორტრეტს ყოველთვის ჩვენი საყვარელი მასწავლებლის — ლენინის პორტრეტის გვერდით ხედავთ, მისი სახელი ყოველთვის ლენინის სახელთან ერთად გესმით. ამ ორი დიდი ადამიანის სახელს ატარებს მოძღვრება — მარქსიზმ-ლენინიზმი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ადამიანები ყველაზე ბედნიერ საზოგადოებას — კომუნიზმს აშენებენ.

5 მაისს მსოფლიოს მშრომელმა ადამიანებმა ზეიმით აღნიშნეს 140 წელი კარლ მარქსის დაბადებიდან. ეს იყო

დიდი დღესასწაული, ბავშვებო. იმიტომ, რომ კარლ მარქსი იყო დიდი მეცნიერი-რევოლუციონერი, მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი. მარქსამდე არ ყოფილა ადამიანი, რომელსაც ძალა შესწევდა კაპიტალისტური მონობიდან გათავისუფლების გზა ეჩვენებია მშრომელი ხალხისათვის, დედამიწაზე ისეთი საზოგადოების აშენება ესწავლებია, სადაც ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის ბატონ-პატრონი თვითონ მშრომელი ადამიანი გახდებოდა. ეს მარქსმა გააკეთა. ამ საქმეს შესწირა მან მთელი თავისი ცხოვრება.

ცხოვრება კი ძნელი და რთული ჰქონდა მარქსს. ბევრი მტერი ჰყავდა მარქსს და მის მოძღვრებას. სდევნიდნენ მეცნიერს, ხელს უშლიდნენ, რადგან იცოდნენ: მარქსი კაპიტალისტების წინააღმდეგ იბრძოდა, მისი მოძღვრება მშრომელ ხალხს აიარაღებდა, ხელს უწყობდა მსოფლიოს ხალხებს თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვებაში.

კარლ მარქსი იძულებული იყო ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასულიყო ხოლმე საცხოვრებლად. მისი ოჯახი ერთთავად გაჭირვებაში ცხოვრობდა. მხოლოდ მეგობართა დახმარებითა და ხელშეწყობით შესძლო მან დიდი და დაძაბული შრომა გაეწია. ხოლო რარიგ გიგანტური და გაუგონარი შრომის ტვირთი იკისრა მარქსმა, ამას მაშინღა გაიგებთ, როცა გაიზრდებით და მის წიგნებს გაეცნობით. რამდენი უნდა ეშრომა, როგორი სიმტკიცე უნდა ჰქონოდა, რომ ძირფესვიანად შეესწავლა ისტორია, ბუნებისმეტყველება, უმაღლესი მათემატიკა და სხვა მეცნიერებანი! კარლ მარქსს მთელი მსოფლიო ლიტერატურა უყვარდა და იცნობდა კიდეც. წიგნებს ყველა ევროპულ ენაზე კითხულობდა. ორმოცდაათი წლისა იყო, როცა რუსული ენის შესწავლას შეუდგა და ექვსი თვის შემდეგ უკვე დედანში კითხულობდა პუშკინის, გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის ნაწერებს. „უცხო ენა იარაღია ცხოვრების ბრძოლაშიო", ხშირად უყვარდა ამ სიტყვების გამეორება. და მართლაც, ბავშვებო, ლიტერატურის ისტორიის და უცხო ენების ცოდნა იმისათვის სჭირდებოდა მარქსს, რომ უკეთ ეგრძნო, უკეთ გაეგო სხვადასხვა ხალხის ცხოვრება. ეს კი დაეხმარა მას თავისი ცხოვრების მთავარი მიზნის განხორციელებაში: პასუხი გაეცა კითხვაზე, თუ როგორ გათავისუფლებულიყო ადამიანი კაპიტალიზმის უსამართლობისაგან.

შრომა მარქსის საყვარელი საქმე იყოო, — იგონებენ მისი მეგობრები. ისე გაიტაცებდა ხოლმე მუშაობა, რომ ხშირად ჭამა ავიწყდებოდა. შინაურებს რამდენჯერმე უხდებოდათ მისი სადილად მიწვევა და, ის იყო მთავრდებოდა სადილობა რომ, მარქსი კვლავ თავის სამუშაო კაბინეტისაკენ იჩქაროდა.

მეცნიერებაში მკაცრი და პრინციპული, ცხოვრებაში — კეთილი და გულითადი ადამიანი, მზრუნველი მეგობარი და მოსიყვარულე მშობელი — ასეთი იყო მარქსი.

მარქსს ძალიან უყვარდა ბავშვები. დაძაბულ მუშაობაში დროს პოულობდა თავის პატარა ქალიშვილებთან სათამაშოდ. როცა დაიზარდნენ, ისინი ხშირად იგონებდნენ საზღვაო ბრძოლებსა და ქაღალდის ხომალდების ცეცხლწაკიდებულ ფლოტილიებს. კარლ მარქსი საკუთარი ხელით უკეთებდა გოგონებს იმ ხომალდებს, წყლით სავსე თასში შეაცურებდა და მერე ცეცხლს უკიდებდა, რის გამოც ბავშვები სიხარულით ცასა სწვდებოდნენ. თავის ბავშვებს რომ ეთამაშებოდა, კარლ მარქსს თვალწინ უდგა მილიონობით სხვა ბავშვი მთელს დედამიწაზე: თეთრკანიანიც, ყვითელკანიანიც, შავკანიანიც. უნდოდა ყველა ისინი თანასწორნი, მაძღარნი, ჩაცმულ-დახურულნი ყოფილიყვნენ, ესწავლათ სკოლაში, ეკითხათ წიგნები, ხოლო როცა დაიზრდებოდნენ, საკუთარი თავისათვის,საკუთარი ხალხისათვის შრომა შესძლებოდათ.

კომუნიზმის შესახებ თავის გენიალურ მოძღვრებას რომ ჰქმნიდა, მარქსს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ყველაფერი განეჭვრიტა, გაეთვალისწინებია ყოველი ცალკეული ქვეყნის თავისებურება. მან კომუნისტური განვითარების ყველაზე უფრო ზოგადი ხაზები იწინასწარმეტყველა.

დიდმა ლენინმა განაგრძო და განავითარა მარქსის მოძღვრება — მარქსიზმი. იგი ჩვენი ქვეყნის პირობებში გამოიყენა. დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული ფურცელი გადაშალეს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისა.

ჩვენს ქვეყანაში მოხდა დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანებმა სოციალისტური საზოგადოება ააშენეს და წარმატებით აშენებენ კომუნიზმს. ეს კი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი მთელს თავის მუშაობას წარმართავენ ისე, როგორც მარქსი და ლენინი გვასწავლიან.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ეს დიადი მოწოდება ას წელზე მეტი წლის წინათ დაწერეს კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა „კომუნისტურ მანიფესტში". „აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა" — ასე იწყება „კომუნისტური მანიფესტი". ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ახდა. სოციალიზმი ახლა აერთიანებს ქვეყნებს, რომლებშიც თითქმის ერთი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. და იქაც, სადაც ჯერჯერობით კაპიტალიზმი ბატონობს, კომუნისტური და მუშათა პარტიები აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით ხელმძღვანელობენ. მარქსისა და ლენინის მოძღვრებით ისინი ახალ ძალებსა და გამარჯვების რწმენას იკრებენ.

აი, რატომაა, რომ ორი დიადი სახელი — მარქსი და ლენინი — ყოველთვის ერთმანეთის გვერდითაა. აი, რატომ ამბობენ ახლა, რომ ლენინიზმი — ლენინის მოძღვრება — ეს ჩვენი ეპოქის მარქსიზმია.



## ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

### შარლ ბოდიემ გადაარჩინა

12 წლის ფრანგი ბიჭუნა. შარლ ბოდიე ამ რამდენიმე ხნის წინ კალედან პარიზში გაემგზავრა. აქ მას საზეიმო ვითარებაში ბრინჯაოს მედალი გადაეცა. შარლმა ეს საპატიო ჯილდო სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიმსახურა.



შარლის ძმა და მისი მეგობარი შემთხვევით არხში ჩავარდნილიყვნენ და იხრჩობოდნენ. შარლ ბოდიემ ორივე გამოსტაცა სიკვდილს.

### ქალაქ ტირანაში გაიხსნა პიონერთა სასახლე

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ასობით პიონერი ცეიკრიბა. ნორჩების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; პარტიამ და მთავრობამ პიონერ-მოსწავლეებს მშვენიერი საჩუქარი — პიონერთა სასახლე მიუძღვნა.

სასახლის საზეიმო გახსნას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. შკოდერის ოლქის პიონერების სახელით, პატარა გოგონამ, ფლუტურე ხოჯამ, მადლობა გადაუხადა მთავრობას და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ამხანაგ ენვერ ხოჯას: პირობა მისცა. რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ნორჩი თაობის ბედნიერებისათვის, პიონერ-მოსწავლეები კარგი სწავლითა და ბეჯითი შრომით უპასუხებენ.

შადრევნებითა და მშვენიერი გაზონებით გარშემორტყმულ პიონერთა სასახლეს დიდი ტერიტორია უჭირავს, იგი ერთ-ერთ ულამაზეს შენობად ითვლება დედაქალაქში. სასახლის 139 სხვადასხვა დარგობრივ წრეში 3200-მდე პიონერ-მოსწავლე გაერთიანდება.

### გერმანელ პიონერთა მესამე შეკრება ჰალეში

წელს 9-დან 19 აგვისტომდე გერმანიის ქალაქ ჰალეში ჩატარდება მესამე პიონერული შეკრება, რომელშიც ქვეყნის 28 ათასი პიონერი მიიღებს მონაწილეობას. შექმნილია მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც გაერთიანებული არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის და ჰალეს ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეკრებაზე მიწვეულია სტუმრები საბჭოთა კავშირიდან.

### საბჭოთა პიონერების საჩუქრები

კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით. კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის ხელმძღვანელს ამხანაგ შ. კ. შირიმბაევს ტაშკენტელმა პიონერებმა საჩუქრები და წერილები გაატანეს კორეელი პიონერებისათვის გადასაცემად.

სურათზე: კორეელი პიონერები ათვალიერებენ საბჭოთა პიონერების საჩუქრებს.



### 7 წლის ჟერარ კანიმ ოქროს მედალი დაიმსახურა

ფრანგმა მოსწავლემ, 7 წლის ჟერარ კანიმ, რომელიც ტონაო-შარენტში (ზღვისპირის შარენტი) ცხოვრობს, თავისი საზრიანობით სიკვდილს გადაარჩინა პატარა შანტალ მორო, მამა და ბებია ვეციენები.



გულმავიწყ მოხუცებს ღუმელი ღია დარჩენოდათ და იქიდან მბრჩოლავი ნახშირჟანგის ცირი სიკვდილით იმუქრებოდა. ჟერარ კანიმ დროზე მიუსწრო, ოთახის გასანიავებლად სასწრაფოდ გააღო ყველა ფანჯარა, ღუმელი მაგრად ჩაკეტა და გვიან ღამით ექიმის მოსაყვანად გაიქცა.

ჟერარ კანი ოქროს საპატიო მედლით დააჯილდოვეს.

## ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სამაისო სიმღერა

**ოთარ შალამბერიძე**

ოცნება გვექცა ხალისად,
დროშების ტალღა მიღელავს;
მაისმა იცის, მაისმა
ყველაზე დიდი სიმღერა!

კვირტებს ღიმილი უჩნდება,
ყველგან, სადაც კი გაივლი;
მაისში გაიფურჩქნება
ყველაზე მეტი ყვავილი.

ბედნიერების ხმა ისმის,
ქვაც კია ამღერებული.
მაისით არი, მაისით
ფანდური აჟღერებული,

ქედები—აჰრელებული,
ველები—აჰრელებული.

ამ მზეს,
ამ მაისს,
ამ ვარდებს,
ამ სამაისო სიმღერებს
მზრუნველი თვალი დაჰხარის
და ვერ დაახშობს სიზნელე!

ოცნება გვექცა ხალისად,
დროშების ტალღა მიღელავს.
მაისმა იცის, მაისმა
ყველაზე დიდი სიმღერა.

**გურამ კლდიაშვილი**

## მასწავლებელი

მახსოვს, როგორ მასწავლიდი
ჩვენს მშობლიურ ენას—
დიდი ქვეყნის სიყვარული
შთამინერგე შენა.

აბა, როგორ არ მიყვარდე
კაცი ტკბილზე ტკბილი,
მე შენს ხელში მოვიცვალე
ჩემი ყრმობის კბილი.

შენი თბილი გაღიმება
გულში ისევ ელავს;
რაც კი ჩემში სიკეთეა,
შენით არის ყველა.

მაგონდება ომი ცხარე,
როცა წახველ ჯარში,
შენი სიტყვა, შენი სითბო
მეც მომაკლდა მაშინ.

მაგრამ შენი სიმამაცე
შორიდანაც გვესმა;
შენ იცავდი დიდ სამშობლოს
და სიცოცხლეს ჩვენსას.

ცალი ხელით დაგვიბრუნდი
საყვარელი კაცი,
გვიხარია—ისევ დგახარ
შავ დაფასთან ცარცით...

მამასავით გადაგკოცნი,
გული შენსკენ მიწევს,
უკეთესი რა მოგიძღვნა,
პატარა ლექსს გიწერ.

მერე რა, რომ ცალხელა ხარ—
ვაჟკაცობა გშვენის,
აქ ყოველი ჩვენთაგანი
მარჯვენაა შენი!



# ვერცხლის ხეობის საიდუმლო

როლამ ჩაჩანიძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა

## ბასმაჩები ყოფილან...

გამოქვაბული შვეული კლდის მარჯვენივ იწყებოდა. ის დაახლოებით ასი მეტრით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, რომელიც მუჰამედმა ბანაკისათვის ამოირჩია. შესასვლელის ვიწრო ყელი ხეებს გულმოდგინედ შეენიღბათ. ასე რომ, თუ კაცმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, ისე ვერც იპოვნიდა.

გამოქვაბული ათიოდე მეტრის სიღრმეზე იჭრებოდა კლდეში და ჩინებულ საბანაკო ადგილს წარმოადგენდა. შესასვლელთან ნაცრის ბორცვი იდგა. პროფესორმა წერაყინით გადაფხიკა ნაცარი და თქვა: სამი თვის წინ აქ ბასმაჩების მთელი ბატალიონი ყოფილაო.

მთელი ავლადიდება გამოქვაბულში შეზიდეს. ნაზარენკომ და ტანიამ ისე გულდაგულ იწყეს ბანაკის მოწყობა, რომ კაცი იფიქრებდა აქედან წასვლას სულაც აღარ აპირებენო. სურსათი უფრო ღრმად შეიტანეს. ტოტები დააწყვეს, ხმელი ფოთლები გადააყარეს, ზედ საძინებელი ტომრები წააფინეს და მშვენიერი საწოლები გაიმართა.

მუჰამედის წინადადებით, შესასვლელთან დიდი ქვები დააწყეს—თავდასხმის შემთხვევაში, ტყვიებისაგან დაიფარავდა გამოქვაბულს.

— ნიკოლოზ ილიას ძევ, ახლა კი ნამდვილად ციხე-სიმაგრეში ვართ,—ღიმილით აწბობდა საველიევი და შეშას მოათრევდა გამოქვაბულისაკენ. ნაზარენკომ გამოქვაბულში შეშისთვისაც გამოძებნა შესაფერი ადგილი.

ტანიამ ჩანთიდან ქონის სანთლები ამოალაგა, მუხრანელმა ბრძანა სანთლები მომჭირნეობით ეხმარათ. ექსპედიციის წევრებს მან საზეიმო ვითარებაში ყოველგვარი ნადირისა და ფრინველის მოკვლის სრული უფლება მიანიჭა.

მუხრანელმა საწერი მაგიდაც კი გამართა. ეს იყო ხუთიოდე მეტრის სიგრძის ფართო სიპი ქვა, რომელიც

---

გაგრძელება. იხილეთ „პიონერი" № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბულის სიღრმეში მარჯვენა მხარეს ეგდო. აქ სახელდახელოდ მოაწყვეს შანდლები, სკამები და მთელი ბიბლიოთეკაც მოათავსეს.

ნიკოლოზ ილიას ძე იმ წამსვე შეუდგა საქმეს; კოლეგებთან ერთად მაგიდას მიუჯდა; შუა აზიის რუკა გაშალეს და საძიებო გასვლების მარშრუტები დაადგინეს.

ტანიამ რევაზი დაიხმარა და თავისი ლაბორატორიაც გამართა, ხოლო მუხამედოვმა მთელი არსენალი შესაფერის ადგილას მოათავსა. ასე და ამგვარად, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა და გამოქვაბული ერთბაშად დიდ ოჯახს დაემსგავსა.

ამასობაში, გამოქვაბულის ახლოს გამყოლებმაც მოაწყვეს სახედრებისათვის თავლა და, როცა მზე ვერცხლის ძაფებს იქით ჩაიძირა, ბანაკში უკვე ყველაფერი რიგზე იყო.

პროფესორი მუხრანელი მაგიდასთან თავაულებლივ იჯდა.

— რა ვუყოთ ახმედს?—იკითხა მან და მუხამედოვს შეხედა.

ბახრანი უეცრად გამოერკვა, პროფესორს თვალი გაუსწორა.

— აბა, რა ვიცი! საფრთხეში ჩავიგდოთ თავი?! რომ გავაბრუნოთ და სულ გავაფუჭოთ საქმე?!

ნიკოლოზ ილიას ძემ თითები რიგრიგობით გაატკაცუნა.

— დასწყევლოს ღმერთმა! დიდი სიფრთხილე გვმართებს! ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს შეუძლია დაგვღუპოს. გაიხსენეთ, მიროტინის ექსპედიცია თვალსა და ხელს შუა გაქრა.

— ახმედი მე მომაბარეთ, მე გამოვიყენებ. ლაბორატორიაში ერთი კაცი მეც დამჭირდება,—საუბარში ჩაერია ტატიანა ზამაი.

— სხვები რას ფიქრობთ?

— ჩავაბაროთ ტანიას. თვალყურს მე ვადევნებ,—თქვა ნაზარენკომ და ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა თითქოსდა თქვა: სად გამექცევაო.

— მაშ კარგი, მეც ასე ვფიქრობდი, იქნებ მართლაც გაჭირვებული მოჯამაგირეა, მაშინ რას სჩადი ჩაგრულთა ქვეყნის წარმომადგენელო, რად ღუპავ შენს ძმას!..

პროფესორმა გაიღიმა, გამოქვაბულში მუჰამედი, ოსმანი და ახმედი შემოვიდნენ. მალე ვახშმობა გაჩაღდა.

## ფერადი გრანიტის კლდეები

ბახრან მუხამედოვის წინადადებით გადაწყდა, პირველი სადაზვერვო სამუშაოები შვეული კლდის მარცხენა მხარეს ჩატარებულიყო. მუხამედოვი ამტკიცებდა: მწყემსებისაგან ხშირად გამიგონია, ვერცხლის ხეობის მარცხნივ ცხელი წყლების ხეობაა, სადაც. ოქრო მოიპოვებაო.

დილაადრიან ოქროსმაძიებელთა ჯგუფი ნაზარენკოს, მუხამედოვის, საველიევის, მარტინოვის, კომაროვის, ნოზაძისა და მუხრანელის შემადგენლობით ცხელი წყლების ხეობისაკენ გაემგზავრა. ტატიანა და ახმედი კირქვების ანალიზს ჩაატარებდნენ, ხოლო ოსმანსა და მუჰამედს სახედრების მოვლა და სადილისათვის ზრუნვა დაევალათ. რასაკვირველია, ამ უკანასკნელ საქმეს ისინი ტატიანასთან ერთად გააკეთებდნენ.

გზა მიდიოდა მთლად კირქვის კლდეებში. პროფესორი მუხრანელი ყურადღებიდან არ უშვებდა ცოტად თუ ბევრად საინტერესო ქვის პატარა ნატეხსაც კი.

— ივან ალექსის ძევ, შეხედეთ!—შესძახა მან ნაზარენკოს,—აბა, დააკვირდით, ასეთი რამ თუ სადმე გინახავთ?!

ნაზარენკომ მხრები აიჩეჩა.

— ნუთუ არ გინახავთ?! ეს ძვირფასი რეპეტეკის თაბაშირია. მას ცხვრის მატყლის გასაწმენდად ხმარობენ. შესანიშნავია!—იძახდა პროფესორი და ქვებს ზურგჩანთაში ალაგებდა.—აი, კაოლინის ქვებიც. ღმერთო ჩემო, ჩვენ საოცარ ხეობაში ვართ!

მუხრანელის ჯგუფი სადღაც ღრმა ხევში ჩაეშვა. ხევში გორაკებიდან უამრავი წყარო მოჩხრიალებდა. არცერთი იმათგანი არ იყო ცხელი. ყინულივით ცივი წყალი კბილებს კვეთდა ყველას, ვინც კი დალევას ისურვებდა. კირქვიანი ზოლი თანდათან გრანიტში გადავიდა. მუხრანელი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამას და, როცა გრანიტის მრავალფერად მასივს ზედ მიადგნენ, კომაროვს უხმო.

— კოლეგა, აბა, კარგად დააკვირდი. რას ფიქრობ?

— თეთრი, რუხი, შავი, ვარდისფერი! აქ გრანიტის თითქმის ყველა ფერის ძარღვია!—წამოიძახა აღფრთოვანებულმა კომაროვმა და ჩაქუჩი კლდეს ჩამოკრა. ბრჭყვიალა გრანიტის მოზრდილი ნატეხი ძირს დაეცა. კომაროვმა იმ წუთს აიტაცა ის და ჩანთაში ჩააგდო.

— ჰა, რას ფიქრობ კოლეგა, ხომ ჰგავს ურალის ქანებს, ჰა?

— დიახ, ნამდვილად ჰგავს,—გაიღიმა კომაროვმა.

— ბოლოს და ბოლოს, სადაა ცხელი წყლები, ან თუ არსებობს საერთოდ?—იკითხა საველიევმა.

ექსპედიცია ახლა აღმა აჰყვა პატარა წყაროს. გზის სივიწროვის გამო თითქმის ყინულივით ცივ წყალში მიაბოტებდნენ.

— ვიპოვე!—დაიძახა მუხამედოვმა და მოზრდილი წითელი კენჭი მუხრანელს მიაწოდა.

პროფესორმა გაიღიმა.

— ყმაწვილო, ეს ოქრო არაა. მაგრამ შენ ცუდი რამ როდი იპოვნე, ეს სერდოლიკის ძვირფასი ქვაა. ძველად, როცა შუა აზია მდიდარ სახანოებს წარმოადგენდა, ამ ქვებით რთავდნენ თავიანთ ცხენებს აზიის ამაყი ხანები.

მზე ჯერ კიდევ მთებს არ აშორებულიყო, როცა ექსპედიციამ ცხელი წყალი იპოვა. ეს იყო მიწის გუ-

ლიდან ამოსროლილი მინერალური წყალი, რომელიც გრანიტის ვიწრო კალაპოტში წითელ ჟანგს ტოვებდა. მუხრანელმა მისი დაწვრილებითი შესწავლა უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადადო და, ის იყო გზის გაგრძელებას აპირებდნენ რომ, კლდეზე წარწერა შენიშნეს.

როცა ახლოს მივიდნენ, პროფესორმა მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში პირველად შემოიდგა კეხიან ცხვირზე სათვალე და ქედმოხრილმა ამოიკითხა:

„ალექსეი რომანოვი. პროფესორ მიროტინის ექსპედიცია. 1924 წელი."

— შენ გეკითხები, გრიშკა,—მიმართა მან მარტინოვს.—იყო ასეთი კაცი პროფესორ მიროტინის ექსპედიციაში?

— დიახ, ნიკოლოზ ილიას ძევ, იყო.

დუმილით მოშორდნენ სამახსოვრო კლდეს. უცებ მათი ყურადღება კლდის თავზე გადმომდგარმა ცხოველმა მიიპყრო.

— ჯეირანია, მთის ჯეირანი!—თქვა მუხამედოვმა და თოფი გამართა.

— ბახრან, ვერ დაგითმობ!—მუდარით თქვა რევაზმა და თოფის ლულა ძირს დაუწია. ბახრანმა მხოლოდ გაიცინა, და რევაზი ლოდებს შორის გაძვრა. ის ნელნელა მიიწევდა მაღლა და, როცა ქუხილმა შესძრა ხეობა, მთის ამაყი ცხოველი ოდნავ შეკრთა, მერე უკანა ფეხებზე ჩაიკეცა და კლდის ქიმს მოსწყდა. ის ხევისაკენ დაგორდა და თან ხრიალით ქვები აიყოლია.

მუხრანელი და მისი კოლეგები ერთ წუთს გრანიტის კლდეს მოეფარნენ, ხოლო როცა ქვებმა ხრიალით ჩაიქროლეს, ისევ გამოვიდნენ.

რევაზი მძიმედ მოაბიჯებდა: მხრებზე ჯეირანი გაედო.

— ყმაწვილო, საკმაოდ დატვირთულხარ, აჯობებს ბანაკში დაბრუნდე ნანადირევით.—ღიმილით უთხრა ნოზაძეს მუხრანელმა. ახალგაზრდა გეოლოგიც კარგად გრძნობდა ამ აუცილებლობას და გრანიტიანი ბილიკიდან პირდაპირ ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია.

პირველად თითქოს მსუბუქად მიდიოდა, მაგრამ მალე დაღლა იგრძნო. მაინც არ შეჩერდა, პირიქით, კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს.

ცხელი წყლების ხევი აიარა, უკვე კირქვებში გავიდა. ახლა კი მეტი აღარ შეეძლო და ჯეირანი დიდ ლოდზე ჩამოდო, სული მოითქვა. ანაზდად ტყიდან ფაჩუნი შემოესმა. „რა უნდა იყოს?!" გაჰკენწლა გულში და რევოლვერი ფეხზე შეაყენა. შორს, კირქვიან ლოდებს შორის ფრთხილად მომავალი კაცი გამოჩნდა, მაღალი თურქმენული ბუხრის ქუდი ეხურა. კაბა აეკეცა.

„ბასმაჩია, უეჭველად ბასმაჩი!"

უეცრად ყვირილი გაისმა:

— არ მომკლა უფროსო, მუჰამედი ვარ!

რევაზმა რევოლვერი დაუშვა.

— ეს რა მოგიკლავთ? რა კარგია, სამი ფუთი მაინც იქნება.—გაიღიმა მუჰამედმა და ჯეირანი ზურგში აიტაცა.

— დაღლილი იქნები, უფროსო, ახლა მე ვზიდავ, მუჰამედს ბეჭები მაგარი აქვს.

ისინი ბანაკისაკენ გაემართნენ. მუჰამედი მართლაც მძლავრი კაცი გამოდგა, თავისუფლად მიჰქონდა ჯეირანი.

— აქეთ სად ყოფილხარ, მუჰამედ?

— ქვევით ვიყავი, სახედრებისათვის საბალახოებს ვათვალიერებდი.

— ტყუილად გივლია, იქ სულ გრანიტია.

მალე ბანაკში იყვნენ. მუჰამედმა და ოსმანმა ჯეირანი ოთხში ამოიღეს. რევაზმა შამფურები გამოთალა და, როცა მათი მეგობრები ბანაკში შემოვიდნენ, მწვადები უკვე მზად იყო.

## ბ ა ს მ ა ჩ ი

ექსპედიცია კიდევ სამჯერ გაემართა ცხელი წყლების ხეობაში, მაგრამ არც ერთ გამგზავრებას სასურველი შედეგი არ მოუცია. მუხრანელმა უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი:

— დარწმუნებული ვარ, ოქრო სხვა მიმართულებით უნდა ვეძებოთ, თუმცა ცხელი წყლების ხეობაც ფრიად საინტერესოა.

ამასვე ფიქრობდა ექსპედიციის ყველა წევრი, ამიტომ შემდგომი ძიება შვეული კლდის მარჯვენა მხარეს გააგრძელეს. ეს იყო მთის ველური ხავსით და ღვიას ხშირი ბუჩქნარით დაფარული მიდამო, რომელიც ზედ ტყის მასივთან იწყებოდა და თითქმის თოვლიან მთებამდე ვრცელდებოდა. პირველი ექსპედიცია იქიდანაც უშედეგოდ დაბრუნდა. როცა მეორედ შეჰყვნენ ღვიის ბუჩქებს, ოსმანმა, რომელიც გამყოლად წინ მიდიოდა, შიშნარევი ხმით დაიყვირა:

— კაცი, კაცი! ნამდვილად ვხედავ.

იმავე წუთს სადღაც კლდეებში თოფიც გავარდა და ოსმანის მაღალი ბოხოხი ერთი ხუთჯერ მაინც გადატრიალდა ჰაერში. გამყოლმა ჭკუა იხმარა და იმ წამსვე ქვებში ჩაწვა. თავდამსხმელს მეორედ აღარ უსვრია, მაგრამ მისი ჭრელი კაბის ბოლოები მალე კლდის თავზე გამოჩნდა. ორჯერ ესროლეს აქედანაც, მაგრამ ავაზაკი დაუსჯელად მიიმალა.

— ეს კი ნამდვილი ბასმაჩი იყო,—თქვა მუხამედოვმა,—ვერაგი, მხდალი. ფუ! დასწყევლოს ღმერთმა, როგორ ვერ მოვახვედრეთ!

## ახმედი ხედავს სასწაულს

მთებში მესამედ გამგზავრების დროს ექსპედიციას ტატიანაც გაჰყვა. მუჰამედმა სახედრები გარეკა და ბანაკში მარტო ახმედი დარჩა.

ღრუბლიანი ამინდი იდგა. ცოტას ჟინჟღლავდა კიდეც. ამ დროს ტყეში უამრავმა სოკომ იცოდა წითელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპწია თავის ამოყოფა და ახმედიც აჰყვა მაცდურ გულს, ტყისაკენ გაუტია. შორს, სადღაც, ტყის სიღრმეში თავისი სახელი მოესმა. მიხვდა რომ მუჰამედი ეძახდა.

ძახილი ისევ გამეორდა და ახმედი მიხვდა, რომ საქმე სერიოზული იყო; ტყიდან გამოვიდა და გამოქვაბულისაკენ წავიდა. მუჰამედი არსად ჩანდა. სოკოებიანი კალათა ქვის მაგიდაზე დადო, მუჰამედის ძებნას შეუდგა. უეცრად გამოქვაბულის სიღრმეში წერტილის ოდენა შუქს მოჰკრა თვალი. ახმედი შუქისაკენ წავიდა. გამოქვაბულის ბოლოში პატარა სარკმელი ჩანდა. ახმედი შიგ გაძვრა, თავი ერთბაშად ჯადოსნურ დარბაზში ამოჰყო.

ეს იყო ნაირფერი სარკეებით მორთული გრძელი დარბაზი. ირგვლივ ყველაფერი ელავდა და ათასფრად ბრჭყვიალებდა. ახმედს თავბრუ დაესხა. ბოლოს დარბაზში მუჰამედი შენიშნა. ის ოქროსფერ კედელთან იდგა და ტომარაში რაღაცას ჰყრიდა.

— მუჰამედ!

— შენ აქ საიდან გაჩნდი, გველის წიწილო, უკან მომდევდი?!

მუჰამედმა ტომარა ძირს დადო და ბიჭისაკენ წამოვიდა.

ახმედი გაოგნებული იდგა. მაშინღა მოისაზრა, რომ ცუდად იყო საქმე, როცა მუჰამედმა ხელი ჩაავლო...

ავაზაკმა ბავშვი ძირს დაანარცხა, მერე სქელნალიანი ფეხსაცმელი ჰაერში აღმართა და ჩაიხითხითა:

— მოგგზავნეს?! ეს ქუსლი მარტო გველებს კი არ სრესს, ადამიანსაც ისტუმრებს მოუსავლეთში.

მძიმე ფეხსაცმელმა ბიჭის თავი დაფარა და, როცა სისხლიანი ლანჩა ახმედის სახეს მოშორდა, ბავშვმა ერთი ამოიხრიალა და შავი თვალები უსიტყვოდ დახუჭა!

მუჰამედმა ტომარა ზურგზე მოიგდო, ვიწრო სარკმელში გაძვრა, გარედან გულდაგულ დაახშო, ქვებით შენიღბა და გრანიტოვან კლდისაკენ დაეშვა.

შუადღისას დიდი წვიმა დაუშვა. მუხრანელის ჯგუფი სასწრაფოდ გამოქვაბულში დაბრუნდა. გალუმპული მუჰამედი კარებთან იდგა.

— ბიჭი დაიკარგა. აი, სოკოები უკრეფია, ისევ წასულა და აღარ ჩანს. მთელი ტყე-ღრე მოვიარე, კვალიც არ ჩანს. საოცარია, სად გაქრა?!

— იქნებ სადმე წვიმას შეაფარა თავი,—თქვა საველიევმა.

— შეიძლება. ეგ სულ არ მიფიქრია.—უმალ დაეთანხმა მუჰამედი.

— სახედრები აღარ ჩანს,—შემოვარდა გამოქვაბულში დაფეთებული ოსმანი,—სულ გადავაქოთე იქაურობა.

ყველამ მუჰამედს შეხედა, რომლის ცივსა და ცბიერ სახეზე არანაკლები გაკვირვება იყო აღბეჭდილი, ვინემ ოსმანისაზე.

— აბა, რა ვიცი! მე რომ ბიჭის საძებრად წავედი, კარები მაგრად ჩავკეტე,—თქვა მუჰამედმა.

— იქნებ დაგავიწყდა კარის დაკეტვა და აღარ გახსოვს?

— არა, კარგად მახსოვს, რომ ურდული გავუყარე.

— ურდული ძირს აგდია,—თქვა ოსმანმა.

— აბა, მე რა ვიცი!—ჩაიბუტბუტა მუჰამედმა, ერთ წუთს ოსმანს თვალი გაუმართა და შეპარვით თქვა:—ბახმაჩები ხომ არ იქნებოდნენ?



— არამზადავ! ახლა ხომ ჩავარდი!



მუჰამედმა მხეცივით იღრიალა და კირქვის კლდეებში თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.

— დიახ, ამ საქმეში ადამიანის ხელი ურევია. წაღებულია სახედრების გადასაბმელი თოკებიც. ამას თვითონ პირუტყვი ხომ ვერ გააკეთებდა!

ოსმანი კოცონთან ჩამოჯდა და სველი ზურგი ცეცხლს მიუშვირა:

— უნდა დავძებნოთ ყველგან, ალბათ ბიჭიც მათ...

სურდა ეთქვა, მათ წაიყვანესო, მაგრამ იმ წუთში სხვა აზრმა გაუელვა თავში, ზეზე წამოვარდა შეშლილივით, პროფესორს მივარდა და აყვირდა.

— ალბათ იმან გაირეკა, ბასმაჩებმა მოგვიგზავნეს, იმათი საქმეა. აბა, თვითონ ის არამზადები რომ ყოფილიყვნენ, ყველაფერს წაიღებდნენ, ბანაკსაც დაგვინგრევდნენ. არა, იმისი საქმეა!

თუმცა ოსმანს ახმედის სახელი არ უხსენებია, მაგრამ ყველაზე უწინ მას მუჰამედი გამოექომაგა:

— თავიდანვე არ მომწონდა, სულ ტყისკენ ეჭირა თვალი, აშკარად ეტყობოდა, ბასმაჩების კაცი იყო...

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მითქმამოთქმა, რომ გამოქვაბულის ბოლოდან ოსმანის მახვილ სმენას ადამიანის კვნესა არ გაეგონა.

— ჩუმად!—დაიყვირა მან და მუჰამედმაც იმ წუთში ხმა ჩაიწყვიტა.

ავაზაკის სახეს ნელ-ნელა მოედო ჯერ წითელი ფერი, მერე მთლად გაფითრდა და, ექსპედიციის რომელიმე წევრს იმ წუთში მისთვის რომ შეეხედა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ამ ბნელი და დახლართული საქმეების სათავე მუჰამედს ეპყრა ხელში. მაგრამ ახლა ყველას ყურადღება გამოქვაბულის ბოლოსაკენ იყო მიმართული და მუჰამედისათვის არავის ცხელოდა.

კვნესა ისევ გამეორდა და ექვსიოდე გაოცებული თვალი მუჰამედს მიაჩერდა. ავაზაკმა ეს მისი მზაკვრობის დასასრულად ჩათვალა, ერთ წუთს ჯიბეში ხელი ჩაიყო—გამოქვაბულში მეხი გავარდა...

ოსმანის მაღალი ბოხოხი ერთხელ კიდევ შეხტა ჰაერში და სადღაც სიბნელეში გაგორდა.

რევაზი გამოქვაბულის შესასვლელთან დახრილიყო და კოცონს შეშას უმატებდა. რევოლვერის გავარდნისთანავე თავი ასწია და, როცა მუჰამედის ხელში სიკვდილის მთესველი იარაღი შენიშნა, ანთებული მუგუზალი მაჯაზე დაჰკრა ავაზაკს. მუჰამედი სიმწრისაგან დაიმანჭა, რევოლვერი გააგდო, მხეცივით იღრიალა და კირქვის კლდეებში თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.

რევაზი რევოლვერს დასწვდა და ავაზაკის ფართო ბეჭები მიზანში ამოიღო. ქუხილის მაგივრად მხოლოდ ნემსის ჩხაკუნი გაისმა. მეორედ, როცა სალი ვაზნა მისცა პირში რევოლვერს, მუჰამედის ბეჭები უკვე აღარ ჩანდა.

კვნესა ისევ გაისმა და ცხრასანთლიანი ხელი გამოქვაბულის ბოლოსაკენ წავიდა.

არსად არაფერი ჩანდა.

— ნუთუ მოგვეჩვენა?—თქვა გაკვირვებულმა ნაზარენკომ, მაგრამ იმ წამსვე იყვირა,—სისხლის კვალს ვხედავ!

მართლაც, აქა-იქ თეთრ ქვებზე სისხლის ლაქები ალბეჭდილიყო.

— ბოლოს და ბოლოს სად არის!—წამოიძახა მოთმინებადაკარგულმა ტანიამ,—ხომ არ დამარხა სადმე იმ მხეცმა.

პასუხად თითქოს კვლავ გაისმა მიკნავებული კვნესა და ოსმანი კედელს ეძგერა.

— აქ არის. აქ რაღაც ხდება.

ის გააფთრებით ჰყრიდა ლოდებს. ერთი, სულ დიდი, ფეხზე დაეცა და მთლად ჩაუჭეჭყა ცერა თითი, მაგრამ ამას ყურადღებაც არ მიაქცია. ბოლოს, სიცარიელეში მისკენ გამოშვერილი ხელები დაინახა და იმ წამსვე ახმედი ჯოჯოხეთიდან გამოათრია.

— მუჰამედი ბასმაჩია,—წაიჩურჩულა ბიჭმა და შედედებული სისხლით გაგლესილი თავი ოსმანს მკერდზე მიასვენა.

ახმედი კოცონთან მიიტანეს. კომაროვი კარგ ოქროსმაძიებელთან ერთად შესანიშნავი ქირურგიც გამოდგა. მან ჯერ გულდაგულ მობანა თავი ბიჭს, მერე ღრმა ჭრილობა გაუკერა, შეუხვია და, როცა ყოველივეს მორჩა, ხმადაბლა თქვა:

— ახლა კი იძინოს... გადარჩება.

მაგრამ ახმედი ძილს არ აპირებდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და თავი წამოსწია:

— იქ ბრჭყვიალა დარბაზია, მუჰამედი რაღაცას იპარავს!

## ეს იყო ჭეშმარიტი სასწაული

ავადმყოფთან ტანია და ოსმანი დარჩა. კომაროვს სულმა წასძლია და ხვრელში სულ პირველი გაძვრა.

— მე ჭკუას ვკარგავ!—მოისმა მისი შეცვლილი ხმა საიდუმლო დარბაზიდან.

— როგორ ფიქრობთ, კოლეგა, სადა ვართ?—გაისმა მის გვერდით პროფესორ მუხრანელის ხმა.

— ჩვენ ვიმყოფებით მთის ბროლის ისეთ საოცარ დარბაზში, როგორშიაც ჯერ ადამიანის შვილს ფეხის დადგმა არ ღირსებია.

მუხრანელი ისე შეეხო კედელს, თითქოს, ბროლს კი არა, ჩვილ ბავშვს ეხებაო.

ქვევით გაშლილიყო ვარდისფერი გრანიტის ულამაზესი იატაკი. აქა-იქ ზევიდან დაშვებულიყო უზარმაზარი ზღაპრული ჭაღები. ისინი სინათლეზე ათასფერად ბრწყინავდნენ. არანაკლებ თვალისმომჭრელად კიაფობდნენ მთის ბროლის დიდი ზოდები.

სანთლები დაიძრნენ დარბაზისაკენ, მოედვნენ ყოველ კუთხეს.

— კვარცი ვიპოვე!—გაისმა კომაროვის ხმა. იგი სახეგაბრწყინებული დაჰყურებდა ბრჭყვიალა ქვას.

— კოლეგა, როგორ ფიქრობთ, ჩვენ ახლა მაღაროში ხომ არ ვიმყოფებით?

— შეიძლება აგრეც იყოს, ნიკოლოზ ილიას ძევ. დასაშვებია, რომ ოდესღაც აქედან გაჰქონდათ ბროლი.



მუხრანელს სათვალე აესხა და ნელა ფურცლავდა რვეულს.

აკი იგრძნობა—ვიღაცას უტეხია კიდეც. მერედა, რა უსინდისოდ უძარცვავთ!..

— ოქრო, ოქრო ვიპოვე!—სადღაც, ბროლის ზოდს უკან აყვირდა მუხამედოვი.

ყველა იქით გაემართა. ბროლის ბუნებრივ დიდ ყუთში თვითნაბადი ოქროს დიდი ზოდები ეყარა.

მუხრანელმა თვალი დახუჭა, მერე ისევ გაახილა.

— დიახ, დიახ, ეს ნამდვილი ოქროა. ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ!

— იგი საიდანღაც დამალვის მიზნითაა მოტანილი. საიდან მოიტანეს, ეშმაკმა უწყის!—თქვა კომაროვმა.

— მართალი ხარ, კოლეგავ, ოქრო აქ ადამიანის ხელმა შემოიტანა. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ახლოს ვართ მიზანთან. მე მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენ თითქმის აღმოვაჩინეთ ოქროს მდიდარი საბადოები. გამიგეთ, მეგობრებო?

— ნიკოლოზ ილიას ძევ, ინებეთ, იქ ბროლის თაროზე ეს რვეული ვიპოვე.

საველიევმა მუხრანელს ხელში მიაჩეჩა შავი ლიდერინის ყდაში ჩასმული რვეული.

— გეთაყვა, გამომართვი სანთელი.

პროფესორმა როცა ხელი გაითავისუფლა, რვეული ხარბად გადაშალა.

— კოლეგა, აბა დახედეთ, ვინ წერდა ასე მორგვალებულად ასო რ-ს?

— ნიკოლოზ ილიას ძევ, ეს ხომ პროფესორ მიროტინის ხელია!

— დიახ, მიროტინის...

საღამოს ყველანი მუხრანელის სამუშაო „მაგიდასთან“ ისხდნენ. მუხრანელს სათვალე აესხა და ნელა ფურცლავდა რვეულს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)




# ძალოსნობა



ადამიანის ღონის გამოსავლინებლად უხსოვარ დროიდან ეწყობოდა მრავალგვარი შეჯიბრებები: ისროდნენ ლოდებს (სხვათაშორის, ასეთი შეჯიბრი ახლაც ხშირად იმართება სვანეთში), აგორებდნენ მძიმედ დატვირთულ ურმებს, ზურგით გადაჰქონდათ მძიმე ტომარა, ან წისქვილის დოლაბი. ასეთ შეჯიბრებზე, ცხადია, ყველაზე ღონიერი ადამიანები



იმარჯვებდნენ, მაგრამ რომელ საქმეში გამარჯვებულს უნდა მისცემოდა უპირატესობა, ვინ იქნებოდა უფრო ღონიერი: ვინც ლოდს ყველაზე შორს სტყორცნიდა, თუ ის, ვინც მძიმე ურემს გააგორებდა, ან წისქვილის დოლაბს გადაიტანდა დიდ მანძილზე?

აი, სწორედ ამიტომ იქნა შემოღებული ძალის გასინჯვა ყველასათვის თანაბარ პირობებში. მაგრამ ამისათვის არც ქვა, არც ტომარა არ გამოდგებოდა. საჭირო იყო შეჯიბრების რაიმე ახალი სახე გამოეგონებიათ და გამოიგონეს კიდეც. სპორტის ამ სახეს ძალოსნობა ჰქვია, ხოლო იარაღს, რითაც ერთმანეთს ძალაში ეჯიბრებიან — შტანგა. ეს რკინის გრძელი ღერძია, რომელსაც ბოლოებზე სხვადასხვა ზომის რკინის თეფშები აქვს წამოცმული. გინდა მოუმატო წონა? — მიუმატე თეფშები. თუ წონას ვერ დასძლევ — მოხსენი, და ასე შემდეგ.

ახლა მთელ მსოფლიოში შეჯიბრებზე შტანგას ერთი წესით სწევენ. მკაცრად არის დადგენილი შტანგის აწევის სამი სახე: 1. აჭიმვა — მკერდიდან სიმძიმის მხოლოდ მკლავების ძალით ატანა გამართულ ხელებზე. 2. ატაცი — ერთი მოძრაობით შტანგის გამართულ მკლავებზე ატანა და გაჩერება. 3. აკვრა — სიმძიმის ატანა მკერდამდე ნებისმიერი მოძრაობით და იქიდან ტანისა და ხელების ძალით გამართულ მკლავებზე გაჩერება.

გამარჯვება მას ენიჭება, ვინც სამივე მოძრაობაში მეტ წონას ასწევს.

რაც უფრო მძიმეა ადამიანი, მით უფრო ღონიერია იგი. მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში, თუ იგი კარგად არის ნავარჯიშები, თორემ, ხშირ შემთხვევაში, პატარა ტანის, ნავარჯიშებ ადამიანს მეტი ღონე აღმოაჩნდება ხოლმე, ვიდრე დიდი ტანის გაუვარჯიშებელ ადამიანს.

ყველაზე დიდ წარმატებას სიმძიმეების აწევაში მძიმე წონის ძალოსნები აღწევენ ხოლმე. მათთან შეჯიბ-



რში მსუბუქი წონის სპორტსმენები უმეტეს შემთხვევაში დამარცხებული გამოდიან. ამის გამო შემოღებული იქნა ძალოსნების წონითი კატეგორიების მიხედვით დაყოფა. ეს 1906 წელს მოხდა. მას შემდეგ მძიმე, საშუალო და მსუბუქი წონის ძალოსნები ერთმანეთს ცალცალკე ეჯიბრებიან.

დღესდღეობით ძალოსნობაში შვიდი წონითი კატეგორიაა: მჩატე, ნახევრადმსუბუქი, მსუბუქი, ნახევრადსაშუალო, საშუალო, ნახევრადმძიმე და მძიმე. ყველაზე მსუბუქი წონა მჩატე წონაა — 56 კილოგრამი. ამ წონის ძალოსნებს ხუმრობით „ბუზებს" უწოდებენ. მძიმე წონის ძალოსნები წონით 90 კილოგრამზე მეტი უნდა იყვნენ.

მჩატე წონის ძალოსნები, პატარა ტანისა და მცირე წონის მიუხედავად, საკმაოდ დიდ სიმძიმეს სწევენ. ასე მაგალითად, საბჭოთა ძალოსან სტოგოვს ორი ხელით აჭიმული აქვს — 107.5 კილოგრამი, ხოლო ჩინელ სპორტსმენ ჩენ-ძინ-კაის აკრული აქვს 140 კილოგრამი.

როგორც აღვნიშნეთ, მძიმე წონის ძალოსნებს ღონეც მეტი აქვთ, ამიტომ მათ მიერ დამყარებული რეკორდები აბსოლუტურ რეკორდებად ითვლება. დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე ღონიერ ადამიანად ამერიკელი პაულ ანდერსონი ითვლება. იგი 1932 წელსაა დაბადებული. ბავშვობაში, როგორც ბევრი თქვენგანი, იგი ფეხბურთის თამაშით და მძლეოსნობით იყო გატაცებული. შემდეგ, როდესაც დავაჟკაცდა და დასრულდა, ძალოსნობას მიჰყო ხელი. 22 წლის ანდერსონმა წონით 170 კილოგრამს მიაღწია და მისმა შედეგებმა სიმძიმეების აწევაში მსოფლიო აალაპარაკა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წელს მსოფლიო პირველობაზე ანდერსონმა სამჭიდის ჯამში ე. ი. აჭიმვასა, ატაცსა და აკვრაში ფენომენალური შედეგი — 512.5 კილოგრამი უჩვენა. მას შემდეგ ამ შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. ახლა პაულ ანდერსონმა სპორტს თავი დაანება და ცირკის მსახიობობა დაიწყო, დადის ქალაქიდან ქალაქში და ხალხს თავის განსაცვიფრებელ



პაულ ანდერსონი ახლა ქალაქიდან ქალაქში დადის და ხალხს თავის განსაცვიფრებელ ძალას უჩვენებს.

ძალას უჩვენებს. მას შეუძლია მხრებზე დაიდოს 700 კილოგრამი წონა და თავისუფლად ატაროს იგი, ნახევარ ტონა ტვირთს იდებს მხრებზე და ისე აკეთებს ბუქნს, 1600 კილოგრამი წონა მუხლებამდეააქვს.

ცხადია, ანდერსონი მოვლენაა სპორტში, მაგრამ არ იფიქროთ რომ მისი მჯობნი არ გამოჩნდება. არა, გავა წლები და ანდერსონის დღევანდელი შედეგები უკვე აღარავის გააკვირვებს, რადგან ადამიანის როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური შესაძლებლობა მართლაც რომ განუსაზღვრელია.

ზ. ლეჟავაშვილი





# მტრედები პიონერთა სასახლეში

თბილისის გულში ზაფხულ და ზამთარ
ბრწყინავს სასახლე გაზაფხულისა,
დაუსრულებელ სიცოცხლით გამთბარს
ჰხურავს მზის შუქით გასარკული ცა.

დგას ხვალის დღეზე დაიმედებით
გემი — მშვიდობის იალქნიანი.
მზისკენ შეფრინდა გუნდი მტრედების
ქათქათა ფრთების შრიალ-შრიალით.

თითქოს მტრედებმა მოხიბლეს დილაც
თვისი სიმშვიდით, თვისი სიხხარტით,
ერთი გახედეს სივრცეს და ფრთხილად
ჩამოეკიდნენ მზის სხივს ნისკარტით.

დაბლა ღუღუნით დაეშვნენ მერე,
ოქრო ყრია თუ ხორბლის მარცვლები...
მათი ფრთების და თვალების ფერებს,
მე მათ საკენკსაც დავენაცვლები.



მუდამ მესმოდეს მათი ღუღუნი,
გულში რომ უტკბეს თაფლად ილვრება,
რეკდეს მომავლის მანგის გუგუნი —
პიონერული ლაღი სიმღერა.

ბრწყინავდეს შუქით გახარკული ცა,
ჰქროდეს მტრედების ფრთათა ნიავი,
ენთოს სასახლე გაზაფხულისა —
ბავშვებიანი,
მტრედებიანი.



თეიმურაზ ჯანგულაშვილი



# ქომაგი

**მარსელო სალინასა** — ნახ. ნ. შალიკაშვილისა

★

**ცნობილი კუბელი მწერალი მარსელო სალინასა დაიბადა 1889 წელს. მის ნაწარმოებებში ასახულია პროტესტი სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ და ღრმა თანაგრძნობა ბურჟუაზიული სინამდვილის მიერ დაჩაგრულ „პატარა ადამიანის“ მიმართ. ასეთი ხასიათისაა მოთხრობა „ქომაგიც“.**

★

წელში მოხრილი კაცი კვალთან გაცხარებით მუშაობდა, ცდილობდა ჩქარა დაემთავრებინა საქმე. მას ფეხდაფეხ მისდევდა ასე თორმეტიოდე წლის ბიჭი, კარტოფილს ხვეტდა და ერთ ადგილას აგროვებდა. მიწა გაყინული იყო. თუმცა ციოდა, მაგრამ კაცი მთლად ოფლში იყო გაწურული.

— ბევრია?

ბავშვმა თვალით გაზომა და უპასუხა:

— ნახევარი ტომარა.

— შეაგროვე და წავიდეთ, თორემ საცაა მთვარე ამოვა. ბავშვს ტომარა ეჭირა. კაცი კი შიგ კარტოფილს ჰყრიდა. იმის შიშით, რომ არავის წაესწრო, დრო და დრო გზის მხარეს იყურებოდა—კარტოფილით დაფარული დიდი მინდვრებისაკენ, რომელიც ორასიოდე მეტრით იყო დაშორებული მათგან.

კაცმა კარტოფილით ნახევრად სავსე ტომარას თოკით თავი მოუკრა, დანა ქამარში გაირჭო და ტვირთის ზურგზე მოსაკიდებლად მოემზადა.

მშიერი ბავშვი ჭარხლის ფოთლის ყუნწს ღეჭავდა.

— გადააგდე, აი, მივალთ ქალაქში და პურს შევჭამთ.

გაყიდიან კარტოფილს და მედუქნე ხუსტოსაგან იშოვნიან არა მარტო პურს, არამედ უამრავ ტკბილეულსაც. ასე მოხდა სამი დღის წინათაც, როცა ისინი საქურდლად წავიდნენ. ერთი თვეა, რაც მათ ქურდობას მიყვეს ხელი, იმის გამო რომ მამა სამუშაოდან დაითხოვეს. დარაჯებმა ვერასგზით ვერ მოახერხეს მათი დაჭერა, თუმცა, რომ დაეჭირათ კიდეც, ბავშვს არაფრის ეშინოდა, როცა მამასთან იყო, სიბნელისაც კი არ ეშინოდა, რომელიც მუდამ იწვევდა მასში შიშს.

კაცმა წაათრია ტომარა, შემოდგა ქვის გალავანზე, შემდეგ წელში მოიხარა და ზურგზე მოიგდო. როცა იგი წელში გაიმართა, ბავშვის გული სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღენთო. რა ღონიერია მისი მამა და რა მამაცი!



დარაჯმა თოფი შემართა

მათ გადასჭრეს მინდორი და პატარა ჭიშკარზე გავლით გზაზე გამოვიდნენ, რომელიც მიხვეულ-მოხვეულ კლდეებს შორის ამომშრალი კალაპოტივით შეჭრილიყო. ჩქარა მიდიოდნენ.

მამა მძიმედ სუნთქავდა ტვირთის სიმძიმის გამო. ბიჭუნა კი ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა.

მამალმა იყივლა, მერე მეორემ, და ყოველი მხრიდან გაისმა მამლების ყივილი. სოფლის ჰაერი ირთოდა წკრიალა ხმისაგან. «ორი საათია. მალე მთვარე ამოვა», გაიფიქრა მამამ. მან გადაწყვიტა არ დაესვენა ქალაქამდე. იქ იგი თავს სამშვიდობოზე გრძნობდა.

— ჩქარა,—აჩქარებდა ბიჭუნას.

ისინი უახლოვდებოდნენ ადგილს, სადაც გზა თითქოს წყდებოდა მკვეთრ მოსახვევში. მაღალ კლდეში განმარტოებული გუშაგივით გადაეშალა ტოტები ძალოვან ხეს. უეცრად, საიდანღაც მაღლიდან ჩამოხტა კაცი და გზა გადაუღობა მამა-შვილს.

— შესდექ!—მრისხანედ უბრძანა მან.

ორივე შეჩერდა. მამამ მაშინვე იცნო იმ მამულის დარაჯი, საიდანაც კარტოფილი მოჰქონდა.

დარაჯმა თოფი შემართა.

— ა, არამზადავ! ახლა ხომ ჩავარდი!

დაჭერილმა დააგდო მიწაზე ტომარა და გაქცევა დააპირა, მაგრამ დარაჯმა გააფრთხილა:

— არ გაინძრე, თორემ მოგკლავ,—და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

რამდენიმე ხანს ისინი მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს სახეში: დარაჯი—მუქარით, უბედური ქურდი კი—სირცხვილისაგან დაბნეული, რადგან ქურდობაზე წაასწრეს. ბავშვს მამის იმედი ჰქონდა, და მის შარვალს ჩასჭიდებოდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობა უფრო ძლიერი იყო მასში, ვიდრე შიში. ის ვერც კი გრძნობდა, რომ ვეღარ მიირთმევდა პურს და ტკბილეულობას.

— ახ, შე უსინდისო, ავაზაკო, რამდენი დღეა რაც გდარაჯობ.

ღატაკმა იგრძნო, თუ როგორ მოაწყდა სახეს მძიმე შეურაცხყოფის გამო სისხლის ტალღა. სიბრაზისაგან აღელვებულმა ხელი იტაცა დანაზე, რომელიც ქამარზე ჩამოკიდებული ქანაობდა.

— არ გაინძრე! ხელები მაღლა!

შიშმა გამოაფხიზლა კაცი. მან კეთილგონიერად ასწია ხელები მაღლა. დარაჯი მიუახლოვდა, ამოაძრო დანა და უბრძანა:

— აბა, წადი წინ, გაქცევა არ იფიქრო, გესმის?

ამაო ბრაზისაგან დამწუხრებული ღატაკი გზას გაჰყვა და თან ძალზე შეშინებული ბავშვი გაიყოლია. ზურგს უკან ისმოდა დარაჯის ჩექმების თანაბარი რახუნი. ასე იარეს დაძაბულ სიჩუმეში 10 წუთი. შორს გამოჩნდა ქალაქის მწვანე ნათურები. უეცრად ტყვე შეჩერდა, თითქოსდა ფეხები მიწაში ჩაეფლო.

—მომისმინეთ,—თქვა მან უკანმოუხედავად,—ბადრაგის თანხლებით ქალაქში არ შევალ. შეგიძლიათ მომკლათ თუ გნებავთ... მაგრამ ბადრაგის თანხლებით არ შევალ!

დარაჯიც შეჩერდა და თითქმის ზედ მიადგა დამნაშავეს. ამ კაცის მოქმედებამ ჩააფიქრა იგი, შემდეგ გაიფიქრა: დამნაშავე ჩვეულებრივ ეშმაკობს იმისათვის, რომ თავი შემაბრალოსო. მან კვლავ შეუყვირა:

— როგორ თუ არ შეხვალ? ისე წამოხვალ, როგორც ცხვარი.

— არა, არ შევალ!

ამას მოყვა საშინელი პაუზა—ერთ-ერთი იმ შეუმჩნეველი წამთაგანი, რომლის უკან იმალება მთელი დრამა. ტყვე შემოტრიალდა, გაბედულად შეხედა სახეში დარაჯს. ბიჭუნა კი შეშფოთებული, გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა მათ... აი, დარაჯმა შეიგინა, მუშტი აღმართა, მაგრამ არ დაარტყა.

—წადი, ჯობს მომშორდე! — დაიყვირა მან, — ცოდვაში ნუ ჩამაგდებ!...

და თითქოს ეშინოდა თავისი მძვინვარების შეკავებისა, იგი შემობრუნდა და გაიქცა იმ მხარეს, საიდანაც მოვიდა. მალე მისი ჩექმის რახარუხი სიბნელეში შთაინთქა. უბედური ქურდი გზის მახლობლად ბალახზე დაეშვა, ღრმად ამოიოხრა და სახე ხელებით დაიფარა. აკანკალებული ბავშვი მამას მიეკრა.

— მამა, წავიდეთ!!

კაცი თითქოს გამოფხიზლდა.

— ჰო, წავიდეთ.

მაგრამ მას არც კი უფიქრია ადგილიდან დაძვრა.

ბავშვი ცდილობდა ნაზად შეეხედა მისთვის თვალებში.

— მამა... და, როდესაც მამამ ასწია თავი და ტოტებს შორის შემოჭრილი მთვარის სხივები მოეფინა სახეზე, ბავშვმა ნათლად დაინახა მამის აცრემლებული თვალები.

— შვილო, ჩემო შვილო — აკანკალებულმა მამამ აკოცა ბავშვს და ტირილი წასკდა. ბიჭუნამ ხელი მოუთათუნა მამას კისერზე, მიეკრა ფუნთუშა ლოყით მის ხორკლიან ლოყას და ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში:

— ნუ ტირი, მამი! როცა დიდი გავხდები, მე ვიქნები შენი ქომაგი... აი, ნახავ! მაშინ ვერავინ ვერ გაგიბედავს ხელი შეგახოს.

თარგმნა ბ. მირცხულავამ



— ნუ ტირი მამი, როცა დიდი გავხდები, მე ვიქნები შენი ქომაგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოჯახი

ქუთაისიდან ჩრდილოეთით, ქალაქიდან ექვსი კილომეტრის დაშორებით მდებარე გუმათის ჰალაში ამ რამდენიმე ხნის წინათ მხოლოდ რიონის დაუდეგარი ტალღებისა და ქარის ხმაური არღვევდა მყუდროებას. მაგრამ იქ, სადაც მდინარის ორივე ნაპირას უზარმაზარი კლდეები აღმართულა, მოვიდნენ მშენებლები, რათა ეს კლდეები სამუდამოდ შეაერთონ, კაშხალის საშუალებით შეუკრან ყელი მდინარეს და მისი მძლავრი ენერგია ხალხის კეთილდღეობისათვის გამოიყენონ. მალე ბულდოზერების, მძლავრი ამწეების გუგუნმა და დაუღალავი მშენებლების ხალისიანმა შეძახილებმა აახმიანა ოდესღაც ყრუ და უკაცრიელი მიდამო, სადაც მცირე ხანში 150-მდე კოხტა სახლი წამოიჭიმა. ამ სახლებში ჩასახლდნენ გუმათჰესის მშენებელთა ოჯახები. მალე გუმათში გაიხსნა სკოლა, საავადმყოფო, კლუბი.

გუმათის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაბის ტერიტორიაზე გაიხსნა აგრეთვე სკოლა-ინტერნატი 150 ბავშვისათვის. იგი დიდ, თბილსა და მოსიყვარულე ოჯახს წარმოადგენს. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ნაყოფიერად მეცადინეობენ, იღებენ პოლიტექნიკურ განათლებას. ფართო, ნათელ დერეფანში მარჯვნივ და მარცხნივ კარებებს აწერია: „სადურგლო“, „სამკერვალო“, ლაბორატორია“. ჯგუფ-ჯგუფად შედიან აღსაზრდელები და იწყება ხალისიანი შრომა.

სკოლა-ინტერნატში დიდი ყურადღება ექცევა შრომითი ჩვევების გამომუშავებას. გოგონებმა შეისწავლეს ღილების დაკერება, ქარგვა, წინდების ამოკემსვა, ტანსაცმლის დაუთოება, ოთახის დალაგება. ჩამოყალიბდა ჭრა-კერვის წრე, სადაც მეოთხე—მეექვსე კლასის მოსწავლეებია გაერთიანებული. ჭრა-კერვის მოყვარულებმა შეისწავლეს ტანსაცმლის გამოჭრა, საკერავი მანქანის გამართულობა, მისი ცალკეული ნაწილები. ბიჭების უმრავლესობას კი სასწავლო-სახელოსნოში მოუყრია თავი. თითოეული მათგანი საქმიანობით არის გართული.

აი, მომავალი ავტომექანიკოსი ზაურ ჩახუნაშვილი. იგი ავტომანქანის ძრავას ჩაჰკირკიტებს—ძალზე გატაცებულია ავტომანქანის შესწავლის საქმით და ამიტომ იყო, რომ დიდი ხალისით ჩაეწერა ავტომოყვარულთა წრეში. მასთან არის ჯუმბერ ბრეგაძე და გურამ ადეიშვილიც. ისინი გულმოდგინედ ზეთავენ ავტომანქანის სიჩქარის კოლოფს.

არ იფიქროთ, რომ ჩვენი მეგობრების საქმიანობა მარტო წრეებსა და ლაბორატორიაშია გამოკეტილი!

— ამ ადგილას,—გვიამბო სკოლა-ინტერნატის დირექტორმა გ. ფრუიძემ,—წინათ ეკალ-ბარდების ველური ბუჩქები, ქვა და ღორღი იყო. მაგრამ აღსაზრდელებმა სულ მოკლე ხანში სკოლის 0,8 ჰექტარ ფართობზე ნაკვეთი მოაწყეს. მასზე ხილკენკროვანი მცენარეების, ბოსტნეულისა და მინდვრის კულტურების გაშენება დაიწყეს. 0,3 ჰექტარი გამოიყო ხეხილის ბაღისათვის, სადაც შავქლიავი, ვაშლი და ბაღის სხვა კულტურებია გაშენებული. სკოლის ნაკვეთზე მუშაობა მეტად საინტერესოა, ბავშვებმა აქ შეისწავლეს სავადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროტექნიკა და მათი გამოყვანის პროგრესული მეთოდები. ბოსტნეული კულტურების განყოფილებაში მოსწავლეებმა აწარმოეს დაკვირვება სტაფილოსა და კარტოფილის გამოყვანაზე. მუშაობის პროცესში მათ გაიგეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზრდა-განვითარებისათვის ფესვს, ღეროს, როგორ ხდება ნაყოფის მიღება-დამწიფება.

სწავლასა და შრომასთან ერთად, ამ სკოლის აღსაზრდელებს სპორტიც იტაცებს. ყოველ დილით ისინი ეზოში ერთ რიგად ჩამწკრივებულნი ხალისიანად ასრულებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, მრავალნაირ სპორტულ ილეთს. მაგრამ გუმათელებმა ისიც იციან, რომ სპორტმა სწავლაში ხელი არ უნდა შეუშალოთ. როცა სპორტით გატაცებულმა დანიელ თამაზაშვილმა მეცადინეობას მოუკლო, იგი ტოლებმაც და აღმზრდელებმაც დატუქსეს. შერცხვენილმა ბიჭმა წიგნებში ჩარგო თავი, მერე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში რომ ოთხიანი მიიღო, მასთან ერთად სხვებმაც გაიხარეს. ასეთივე ამბავი დაემართა მურად ორახელაშვილსაც, მაგრამ მას სიზარმაცე უფრო უშლიდა ხელს, ვიდრე სპორტი. მოწინავე მოსწავლეებმა სერგო ღურჯუმელიძემ და მურმან

ხარაბაძემ მეცადინეობაში შეიამხანაგეს მურადი. ახლა მურადით მისი აღმზრდელი მასწავლებლები კმაყოფილნი არიან.

ამ თბილ, კოლექტიურ ოჯახს ძალიან უყვარს წესრიგი და სისუფთავე. როგორც საკლასო, ისევე საწოლ ოთახებში სანიმუშო სისუფთავეა. ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებულ საწოლებს თეთრად გააქვთ ქათქათი; მინებგაკრიალებული კარადიდან ლამაზყდიანი წიგნები გამოიცქირებიან; ფართო ფანჯრებიდან უხვად იღვრება მზის სინათლე.

გუმათის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელების სწავლა-განათლებით მარტო სკოლის დირექცია და პედაგოგები კი არ არიან დაინტერესებულნი, ამ საქმეს სიყვარულით ეკიდება რაიონის ბევრი დაწესებულება, კოლმეურნეობა, ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია ახალგაზრდობა. ავიღოთ თუნდაც სოფელ პატრიკეთის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა. პატრიკეთის მშრომელები გუმათის სკოლა-ინტერნატს შეფობას უწევენ. ისინი ხშირად დახედავენ ხოლმე აღსაზრდელებს, მოაქვთ მათთან საჩუქრები, ხილი, ბოსტნეული; გამრჯე კოლმეურნეები თავიანთ პატარა მეგობრებს არ აკლებენ მშობლიურ სითბოს, სიყვარულს და ზრუნვას. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ბავშვები ამ დიდ, მოსიყვარულე ოჯახში კომუნიზმის შეგნებულ მშენებლებად იზრდებიან.

**ზ. მესენგისერი**



სკოლა ინტერნატის პიონერთა ოთახში ხშირად ნახავთ საქმიანობით გართულ გუმათის ახალ მკვიდრებს—პიონერებს: ც. კვიცარიძეს, მ. ხარაბაძეს, გ. გოგიჩაძეს, გ. რუსიას და ნ. ქობულაძეს.

ჯუჯა სახელმწიფოები

ვპასუხობთ შეკითხვებზე

# ჯუჯა სახელმწიფოები

თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას, დიდი სახელმწიფოების—საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ბრაზილიის და სხვათა გვერდით, ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს შედარებით პატარა ქვეყნები, მაგალითად, ევროპაში: ლუქსემბურგი, ალბანეთი, შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია. ამერიკაში— პანამა, კოსტარიკა, ნიკარაგუა, გვატემალა.

მაგრამ ეს უკანასკნელნი გოლიათებად წარმოგვიდგებიან ევროპის ისეთი სახელმწიფოების გვერდით, როგორიცაა: ანდორა, მონაკო, სან-მარინო, ლიხტენშტეინი.

ანდორა ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელიც აღმოსავლეთ პირენეების სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს; ანდორას ტერიტორიის ფართობი 452 კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 6000 კაცს, რომელიც მისდევს სოფლის მეურნეობას. იგი მოსაზღვრე ქვეყნებთან მხოლოდ ორი საავტომობილო გზითაა დაკავშირებული.

მონაკო პატარა სამთავროა. მონაკოს ფართობი 2 კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 22 ათას კაცს. ოფიციალური ენა ფრანგულია. მოსახლეობა მებაღეობა-მევენახეობასა და მეთამბაქოეობას მისდევს. მონაკოელების დიდი ნაწილი უცხოელი ტურისტების, მოაგარაკეებისა და ბანქოს სათამაშო სახლების მომსახურებას ეწევა, რაც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

სან-მარინო ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, იგი აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარეობს, შუა იტალიაში. სან-მარინოს ფართობი 60,5 კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 13540 კაცს. მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს ტურიზმი წარმოადგენს, დედაქალაქია სან-მარინო, სადაც 2000-მდე მცხოვრებია.

ლიხტენშტეინი მონაკოს მსგავსად პატარა სამთავროა. მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში, ავსტრიისა და შვეიცარიის შუა აღმოსავლეთ ალპებში. ლიხტენშტეინის ფართობი 157 კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა 13600 კაცს. მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევს. ლიხტენშტეინში არის ხელოვნური კბილების ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 60 მილიონ ხელოვნურ კბილს ამზადებს, რითაც შეიძლება ნახევარი ევროპის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

**გ. ჯიბლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

# სინათლე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

სიმინდის ტეხვა ჰქონდათ. ოთხნი ამტვრევდნენ: ჰიჰო, ელგუჯა, დედა და დედას ბიძაშვილი ანეტა. დილით ადრე დაიწყეს და მზის ჩასვლისას მორჩნენ კიდეც, ცხრა გოდორი გაავსეს. ნედლი, ქაჩალი და ნაყარ-ნუყარი ტაროები კიდევ სხვა...

სოფლიდან შორს არ იყვნენ. შებინდებამდე დედამ შინ ასვლაც მოასწრო და ჩამოსვლაც. ჩამოვიდა და ასეთი ამბავი ჩამოიტანა:

ბრიგადირს ურემი ტყეში გაუგზავნია, ვახშმობამდე ვერ ჩამოვა და, რა ვქნა, გათენებას უნდა მოვუცადოთო.

ჰიჰომ გოდორი შეანჯღრია და თქვა:

— რა უჭირს, თუ კი გათენებისას მაინც ავვიტანს!... თქვენ წადით, ელგუჯას ცოტა საჭმელი გამოატანე. ნაბადი, თავისი პალტო და ხანჯალიც წამოიღოს. ჩვენ ვუყარაულებთ!

დედამ შიშნარევი სიყვარულით გადახედა შვილებს. ჰიჰო თხუთმეტი წლისა იყო, ელგუჯა—ცამეტის. ჰიჰო ვაჟკაცობდა და წამით არ ისვენებდა—ხან რას მიუბრუნდებოდა, ხან რას. ელგუჯა გულაღმა გაშოლტილიყო მწვანეზე.

—ემანდ არ შეგცივდეთ, შვილო.

— რამ უნდა შეგვაციოს, ახლავე ცეცხლს დავანთებ.

— მეც ჩამოვალ, თავს არ დაგანებებთ.

— შენ კი არა, ის... თქვენ წადით, ნულარ იგვიანებთ. ელგუჯას არ შეეშინდეს გზაზე.

—ვისა?—ღიმილით წამოიწია ელგუჯა.

— შენ!

— შენ თვითონ არ შეგეშინდეს, თორემ...

ჰიჰომ უკანასკნელ გოდორსაც შეუსწორა პირი და ძმა მსუბუქი ფეხისკვრით წამოაგდო.

— ადე, გზას ბარაქა დააყარე. ვიცი რაც ხარ. ღამე გარეთ ვერ გამოხვალ—სიმღერა არ დაიწყო.

— ვინა, მე?

— შენ, აბა მე?

—აი,—ელგუჯამ შარვალი ჩაიბერტყა და ისევ გაეღიმა. მერე ნედლი ტაროებით სავსე კალათი მხარზე შეიდგა და ბილიკზე გადავიდა.

ელგუჯას ანეტა მიჰყვა.

დედას მაინც არ ეთმობოდა იქაურობა.

— ცეცხლთან ახლოს არ დაწვეთ შვილო, ტანსაცმელზე არ მოგედოთ. მეც ჩამოვსულიყავი, მარტოს რამ უნდა გამათენებინოს ამოდენა ღამე?

— კარგი ახლა!—შეაწყვეტინა ჰიჰომ,—ბავშვები ხომ აღარა ვართ!

— რა ვიცი, შვილო... აბა, არ შეიციოთ მაინც!

დედამ კალათი აიღო და გზას დაადგა, მაგრამ ათიოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, რომ ისევ მობრუნდა.

— თუ შეგცივდეთ, დაანებეთ თავი და წამოდით. ვინ არის მაგ გოდრების წამღები!

— ხო, კარგი! დაგილამდათ.

დედამ რაღაცა წაიდუდუნა და სიმინდებს მოეფარა. ჰიჰომ წალდს ხელი წამოავლო და მიმოიხედა.

ველზე კაკლის ხის ქვეშ იდგა. კაკლის ტოტები მიწამდე ჩამოეშვა. ბინდდებოდა და ყველაფერი წყნარდებოდა.

ჰიჰომ წალდი წელში გაირჭო, კაკლის ერთ ტოტს შეახტა, მაღლა აძვრა, ხმელები შეაჭრა, დაამტვრია და ცეცხლის დანთებას შეუდგა. ცეცხლი ჯერ ბოლავდა, სულს დაფავდა, მერე გაძლიერდა, ალმა შემაღლა და ბალახები და კაკლის ბრტყელი ფოთლები აალაპლაპა.

ჰიჰოს არ სციოდა, მაგრამ ცეცხლს

მაინც ეფიცხებოდა, ალში ხელებს ურევდა და ხიამოვნებით ელიმებოდა. როცა ნაკვერჩხლებმაც დაიწყეს ღუღღუღი, ნედლი ტაროები დაარჩია, ღველფი გამოქექა და ზედ დააწყო. ცეცხლის ტკაცა-ტკუცს ახლა ტაროების შიშინი და ტკაცუნი აჰყვა.

უცებ ზევით, სერებზე ტურები აწკავწკავდნენ. უფრო ახლოს მელამ მორთო ხავილი:

— ბჰა! ბჰა!

ჭიჭო წამოდგა. შეეცადა ცეცხლის შუქის იქით, სიბნელეში გაერჩია რამე, მაგრამ ხეების შავად ალანდული კენწეროებისა და შორეული მთების მოხაზულობის მეტი ვერა გაარჩია რა, და ისევ დაჯდა.

ტურები დაჩუმდნენ, მელამაც ხმა გაიკმინდა, მანქანა გუგუნებდა სადღაც—მისი ხმაც მიწყდა. ფოთოლიც აღარ ტოკავდა არსად.

ჭიჭოს ეს დუმილი ეჩოთირა.

„შენ, ბიჭო ანაგურელო,
შენ, ბიჭო ანაგურელო"...

წამოიწყო სიმღერა, მაგრამ უმალვე გაჩუმდა. გაახსენდა ელგუჯას რომ უთხრა: ღამე გარეთ ისე ვერ გამოხვალ, სიმღერა არ წამოიწყოო. გაჩუმდა და ისევ ცეცხლს დაუტრიალდა. შემწვარი ტაროები გამოყარა.

— სად არის აქამდე ელგუჯა?

ერთი ტარო აიღო, ნაცარი შეაბერტყა, შეუბერა და ფხვნა დაუწყო.

ღამე თითქო სიბნელეს ბარდნიდა, მძიმდებოდა და მძიმდებოდა.

ჭიჭომ გონებისთვალი გზას გააყოლა.

მათი ვენახის თავში გიგოშვილების ვენახია, იმის თავში—სარწყავი რუ. რუ სანახევროდ თეთრი ტალახით არის სავსე, შიგ თვალებდაკუსული ბაყაყები სხედან. მართლა, რატომ გაჩუმებულან ბაყაყები? რუსპირს გზა მიდის. გზას ორივე მხრიდან კაკლის ხეები აქვს გადმოფაფრული. თევდორეს კაკალთან ქოხი დგას. თევდორე ახლა იქ იქნება

ცეცხლის სუსტი შუქის იქით შავი ფარდა იყო ჩამოშვებული, ეს ფარდა ოდნავადაც არ იძროდა.

რომ დაუძახოს, გააგონებს კიდეც. ამან, როგორღაც, სიმხნევე შემატა. თუმცა რა სიმხნევე?! განა რამისა ეშინია ჭიჭოს?

— ემეი!—დაიძახა ანგარიშმიუცემლად.

ამ ხმაზე თითქოს ის ერთადერთი სულდგმულიც დაფრთხა, რომელიც ჭიჭოს მახლობლად იყო და ახლა ნამდვილი სამარისებური სიჩუმე დამკვიდრდა.

— რატომ იგვიანებს ელგუჯა?

ცეცხლი ქრებოდა. ჭიჭომ წალდი აიღო და ხმელ ტოტებს დაუწყო ძებნა. ჯერ ხელი არაფრისთვის არ ეხლო, რომ სიმინდებიდან რაღაც ფაჩუნი შემოესმა. თითქო ვიღაცამ გაიარა.

— ელგუჯა!

ხმა არავის გაუცია.

— ელგუჯა!—უფრო ხმამაღლა დაიძახა ჭიჭომ.

მერე გაახსენდა, რომ ახე იცის ნიავმა—კაცივით გაივლის სიმინდებს შორის, ერთ ხაზზე, პირდაპირ. ის ხმაურიც ნიავის ოინად ჩათვალა, კაკლის ტოტს მიუბრუნდა.

— მაინც რა იქნა აქამდე ელგუჯა?

საჩქაროდ მილეწ-მოლეწა წვრილი წკირები და ცეცხლს დააყარა. ცეცხლი გაძლიერდა, მეტი და მეტი ფართობი გაანათა, მაგრამ იმ განათებული მოედნის იქით ჩამოშვებული შავი ფარდა უფრო მეტად ჩაამუქა. ელავდნენ ოქროსფრად კაკლის კრიალა ფოთლები, წელში წახრილი ბალახები, კაკლისძირზე შემოწყობილი გოდრები, გამონაპირა სიმინდები... ამ შუქს იქით კი თითქო ქვეყანა თავდებოდა.

და უცებ იმ უკუნეთში ისევ გაიარა ვიღაცამ თუ რაღაცამ ახლა უფრო მეტი ხმაურით, ხმაურით და ხრუტუნ-ფშუტუნით.

— ელგუჯა, ნუ მაიმუნობ!

ის ვიღაც, თუ რაღაც თავისას გა-



ცეცხლის სუსტი შუქის იქით შავი ფარდა იყო ჩამოშვებული

ნაგრძობდა. იხრუტუნა, იფშუტუნა და გაჩუმდა.

ჭიჭოს გაეღიმა.

— მაჩვია ნამდვილად, ეგ დინგგასახმობი.

— აჰაუ! — წალდი აიღო და ქვაზე დააკაკუნა.

„მაჩვი“ ისევ აბორგდა. მაგრამ კი არ გაიქცა, ჭიჭოსაკენ წამოვიდა. მოდის, მოხრუტუნებს, სიმინდის ძირებს ლაწალუწი გააქვს.

—ელგუჯა, ნუ მაიმუნობ, თორემ ცხვირ-პირს ამოგამტვრევ, იცოდე! — ახლა უკვე ნამდვილი სიბრაზით დაიძახა ჭიჭომ.

ვიღაც, თუ რაღაც უარესად ახმაურდა.

—ელგუჯა, თუ ცხვირპირი არ ამოგამტვრიო და ნახავ! -- ტირილის კილო გაერია ხმაში ჭიჭოს, მაგრამ ცეცხლაპირიდან ფეხის მოცვლა მაინც ვერ გაბედა.

მაშინ ის ვიღაც, თუ რაღაც წამოვიდა, გამოიარა გამონაპირა სიმინდები, რომლებსაც ცეცხლი ანათებდა, და სინათლეზე გამოყუყდა.

ჭიჭომ უკან დაიხია და წალდის ტარს მაგრად მოუჭირა ხელი.

ადამიანი იყო - ადამიანს არ გავდა, ნადირი იყო — და ვერც ნადირს მიამსგავსებდი. რაღაც ღრუბელივით ფაფუკ, თეთრ ბალანში იყო გახვეული, ოთხზე დახტოდა, გორაობდა.

ორიოდე წამით ეჩვენა ჭიჭოს და ისევ სიმინდებში შეიმალა.

— ელგუჯა, მამის სულს გეფიცები, თუ ცხვირ-პირი არ ამოგამტვრიო! — იძახდა ჭიჭო და თვითონვე გრძნობდა, რომ ამ სიტყვებს თავისდაუნებურად იმეორებდა. ისინი არავის არ ესმოდა.





ჭიჭომ უკან დაიხია და წალდის ტარს მაგრად მოუჭირა ხელი.

— მაინც სად არის ის ბუი?

ეს გაიფიქრა და სიმინდებში ისევ ატყდა ხროტინი და კრუსუნი. წამოვიდა ის ვიღაც, თუ რაღაც, წამოვიდა, გამოგორდა სინათლეზე, იგორა, იგორა. მერე წამოიმართა, ალრიალდა და ჭიჭოსაკენ გამოქანდა.

ჭიჭოს თმისძირებმა შმაშური დაუწყო, მუხლები აუკანკალდა, ძლივსლა ახერხებდა უკან დახევას, წალდის აწევას... და ის იყო, თვითონაც უნდა ალრიალებულიყო, რომ დაინახა — მომხდურს ხელში ჭვირა ხარის რქასავით ალუნული და წვერწამტვრეული ხანჯალი. ასეთი ხანჯალი მთელ სოფელში მათ მეტს არავის ჰქონდა. ცხადია, ელგუჯა იყო.

— აი, ბუო! — წამოიძახა ჭიჭომ სიხარულით, წალდი დააგდო და ელგუჯასკენ გადახტა. ელგუჯამ პირი იბრუნა და გაექცა, მაგრამ ჭიჭო დაეწია და წიხლი უჭირა.

ელგუჯა გადაგორდა და ახარხარდა.

— კიდევაც იცინი?! — დააჯდა ზემოდან ჭიჭო და მუშტი მოუღერა, — ცხვირ-პირი უნდა ამოგინაყო!

—მაგრამ ელგუჯა ისე გულიანად, ისე სასიამოვნოდ ხარხარებდა, რომ ჭიჭოსაც სიცილი წასკდა.

ეს რა ოხრობა გაქვს შემოხვეული? — ხელი წაავლო და წყვეტა დაუწყო გაბუებულ უსურვაზს, -- სად ჭირში აიმურე? ახი არ არის, რომ გაგიჩეჩქვო ეგ გასიებული თავი?

ელგუჯა ისევ ხარხარებდა, ჭიჭოც იცინოდა და თან აქეთ-იქით იყურებოდა: ეჩვენებოდა, რომ ღამე გაქრა, სიბნელე გაიფანტა, რაღაც უხილავმა შუქმა გაანათა უზარმაზარი სივრცე მის ირგვლივ; ეჩვენებოდა, რომ მის ძმას, ამ გამურულ ლაზღანდარა ბიჭს მოჰყვა ამოლენა სინათლე. არ სჯეროდა და ისევ ამას ეკითხებოდა:

— ახი არ არის, რომ ცხვირ-პირი ამოგამტვრიო, ჰა? ახი არ არი?

ელგუჯა იცინოდა, კვდებოდა სიცილით...



# ტუტანხამონის საფლავის საიდუმლოება



ბევრ თქვენგანს ალბათ უნახავს მუზეუმში მუმიები და ეგვიპტის პირამიდებში ნაპოვნი მრავალი ნივთი, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მათ აღმოჩენასა და შესწავლას მრავალი ადამიანის გმირული თავდადება დასჭირდა. აი, ერთი საინტერესო ისტორია ეგვიპტეში არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

მას შემდეგ, რაც მესამე ათასწლეულის დასაწყისში უზარმაზარი პირამიდების აგებამ საგრძნობლად გამოფიტა ფარაონთა სახსრები და სახელმწიფოსაც დაეკარგა თავისი ძველი სიძლიერე, ეგვიპტელი ფარაონები იძულებული გახდნენ შეემცირებინათ ამ უზარმაზარ ნაგებობათა მოცულობა, ხოლო შემდეგ პირამიდების აგებას მთლად დაანებეს თავი და სამარხების მოწყობა კლდეებში დაიწყეს.

ეგვიპტელებს ღრმად სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი საიქიოშიც აგრძელებს სიცოცხლეს. ამიტომ, ამ ქვეყნიდან წასულ ფარაონებს, სიმდიდრე და დიდება საიქიოშიც რომ არ მოჰკლებოდათ, საფლავში აურაცხელ სიმდიდრეს ატანდნენ, მაგრამ, ფარაონთა სავალალოდ, იმ შორეულ დროშიც საკმაოდ იყვნენ ავაზაკები და ამ სიმდიდრეს არ შეეძლო მათი ყურადღება არ მიეპყრო. შენიღბული მძარცველები ანგრევდნენ სქელ, მტკიცედ შეკრულ კედლებს და ბნელით მოცულ სარკოფაგებიდან გამოჰქონდათ ძვირფასეულობა, რასაც საიქიოში ფარაონის ცხოვრება უნდა უზრუნველეყო.

ამით დაშინებულმა ფარაონმა თუთმოს პირველმა, რომელიც ჩვენს ერამდე მე-6 საუკუნეში მეფობდა, გადაწყვიტა თავისი სამარხი ლიბიის უდაბურ კლდეში მოეწყო. შემდეგ აქ ბევრი სხვა ფარაონიც იქნა დამარხული.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ეს მიდამოები დიდი არქეოლოგიური ძიების ადგილად გადაიქცა. დაახლოებით 100 წლის მანძილზე აქ მრავალი სამარხი გაითხარა, რის გამოც ამ ადგილს „მეფეთა სავანე“ უწოდეს.

ოციან წლებში „მეფეთა სავანეში“ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ინგლისელმა მეცნიერმა კარტერმა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი უშედეგოდ ეძებდა სამარხს. ბოლოს, როდესაც გათხრებისათვის თავის დანებება და ინგლისში დაბრუნება გადაწყვიტა, სრულიად შემთხვევით მუშებმა რაღაც საფეხურები აღმოაჩინეს. საფეხურები სულ ქვევით და ქვევით მიდიოდა. ბოლოს, მეოცე საფეხურთან კარი გამოჩნდა. გულის ძგერით ათვალიერებდა კარტერი კარებს, რომელსაც ფარაონის დიდი ბეჭედი ესვა. შემდეგ ერთ კუთხეს კირ-წყალი ჩამოაცალა და ნახვრეტში ელნათურა შეჰყო. კარის იქით მიწისქვეშა დერეფანი მიემართებოდა. როგორც ბევრი სხვა, ეს სამარხიც ვერ გადარჩენოდა გაძარცვას, მაგრამ მასში მაინც უზომო სიმდიდრე აღმოჩნდა. სამარხი რამდენიმე დერეფნისა და ოთახისაგან შედგებოდა, უკანასკნელ ოთახში კი სარკოფაგი იდგა და შიგ ფარაონი ესვენა. იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს სამარხის სიმდიდრეზე, საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი ციფრი. სამარხში 200 კილოგრამი ოქრო აღმოჩნდა! თუ გავიხსენებთ, რომ ეგვიპტის ფარაონთა შორის ტუტანხამონს საკმაოდ უმნიშვნელო ადგილი უკავია, ცხადი გახდება, თუ რა სიმდიდრე იქნებოდა ისეთ ფარაონთა სამარხებში, როგორიც იყვნენ რამზესი და ხეოფსი.

სამარხის გახსნა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ავად გახდა ექსპედიციის რამდენიმე მონაწილე. მალე მათ სხვებიც მიჰყვნენ და ექიმების მზრუნველობის მიუხედავად ზედიზედ გარდაიცვალა რამდენიმე ადამიანი. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი: გავიდა რამდენიმე წელიწადი და სამარეში ჩავიდა კიდევ 23 ადამიანი და სწორედ ისინი, რომლებმაც პირველებმა მიაგნეს ტუტანხამონის საფლავს!

ფრთები შეისხა მორწმუნე ადამიანთა ფანტაზიამ, გაჩნდა ლეგენდა „ფარაონის შურისძიების შესახებ“ და ელვასავით მოედო მთელ მსოფლიოს. მაგრამ ცოცხლად დარჩენილმა არქეოლოგებმა, მათ შორის კი მთავარმა „დამნაშავემ“ — კარტერმა, მუშაობა გააგრძელეს და დაწყებული საქმე წარმატებით დააბოლოეს. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრები დამთავრდა. სამარხი მთლიანად იქნა შესწავლილი. მაგრამ ამოუხსნელი დარჩა ორი ათეული ადამიანის მოულოდნელი სიკვდილის მიზეზი. ამოუხსნელი დარჩა „ფარაონის შურისძიების“ ლეგენდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1955 წელს ფარაონის სამარხი რადიაქტიულად შეისწავლეს: ეჭვი ჰქონდათ, შეიძლება ეგვიპტეში რადიაქტივობას იცნობდნენ და იგი სამარხის დასაცავად გამოიყენესო.

ტუტანხამონის სამარხის საიდუმლოება სავსებით მოულოდნელად იქნა ახსნილი 1956 წელს.

სამხრეთ აფრიკაში ავად გახდა ერთი გეოლოგი, რომელიც გამოქვაბულში ღამურების სკორეს სწავლობდა. მკურნალობამ არ გასჭრა და იგი სახელგანთქმულ ექიმს — დინს მიუყვანეს. დინი ასეთი სახის ავადმყოფობას ჯერ კიდევ ადრე, გამოქვაბულების მკვლევართა მკურნალობისას შეხვდა და მაშინ დაამტკიცა, რომ ამ ავადმყოფობას იწვევდა თავისებური ვირუსი „გისტოპლაზმოსი“, რომელიც დიდი რაოდენობით იყო ღამურის სკორეში. გეოლოგის ავადმყოფობამ დინს ტუტანხამონის სამარხის მსხვერპლნი მოაგონა. შეამოწმეს სამარხი. ექიმის ეჭვი გამართლდა. სამარხში ღამურების სკორე და მათში ვირუსი „გისტოპლაზმოსი“ აღმოაჩინეს.

აეხადა ფარდა „ტუტანხამონის საფლავის საიდუმლოებას.“ მეცნიერებამ კი ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.



# ხალხთა ზღაპრები

## ორი ძმა

(ხაკასური ზღაპარი)

იყო ორი ძმა. ერთი ღარიბი და მეორე მდიდარი.

მივიდა ერთხელ მდიდარი ძმა ღარიბთან და უთხრა:

წამოდი ჩემთან სამუშაოდ და ერთი დღის ნამუშევარში ერთ ტომარა ხორბალს მოგცემო.

კარგიო, დათანხმდა ღარიბი.

იმუშავა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე და მივიდა გასამრჯელოს მისაღებად: დღე გათავდა და ქირა მომეციო.

არა, დღე ჯერ არ გათავებულა, უპასუხა მდიდარმა, მზეს უმცროსი ძმა ჰყავს. მთვარეს ხომ ხედავ ცაზე, ის არის უმცროსი ძმაო. აი, მთვარე რომ ჩავა, მაშინ მოდიო.

იმუშავა ღარიბმა მთელი ღამე. მზის ამოსვლის წინ მივიდა შინ, აიღო ძირგარღვეული ტომარა, ქვემოდან მეორე ტომარა მიაკერა და მივიდა მდიდარ ძმასთან.

დაიცა, დაიცა, მგონი შენ ორი ტომარა მოგიტანიაო!? — გაიკვირვა მდიდარმა ძმამ.

მზეს თუ ჰყავს უმცროსი ძმა, რატომ ტომარას არ უნდა ყავდესო. — მიუგო ღარიბმა.

რას იზამდა მდიდარი. იძულებული გახდა ღარიბისათვის ორი ტომარა ხორბალი მიეცა.

ასე აჯობა ღარიბმა ძმამ მდიდარს!

## ბებერი ძაღლი და მელია

(მექსიკელ ინდიელთა ზღაპარი)

ერთ კაცს ისეთი ბებერი და დაუძლურებული ძაღლი ჰყავდა, რომ პატრონის სახლის ყარაულობაც აღარ შეეძლო. პატრონმა ხელი აიღო მის რჩენაზე და სახლიდანაც გააგდო. ძაღლმა დიდხანს იხეტიალა საჭმლის ძებნაში, სანამ მელიას არ შეხვდა.

— ასე დაღვრემილი რატომ ხარო? — ჰკითხა მელიამ.

— საჭმელს აღარ მაჭმევენ, რადგან დავბერდიო. ახლა უსაქმოდ დავწანწალებ, ძალიან მწყინს, რომ ჩემმა პატრონმა, რომელიც ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო, ასე შემიძულაო.

ძალიან მეცოდებიო, უთხრა მელიამ, მე დაგეხმარები, ამ ღამით შენს პატრონს ინდაურს მოვტაცებ, შენ კი დამედევნები და წამართმევ. ნუ შეწუხდები, მე უბრძოლველად მოგცემ ინდაურს. ვნახოთ, ამის შემდეგაც დაგტოვებს შენი პატრონი მშიერს, თუ არაო.

როგორც კი დაღამდა, მელიამ ეზოდან ინდაური მოიტაცა. ბებერი ძაღლი ხმამაღალი ყეფით გამოუდგა მას. პატრონმა იმ დროს მიუსწრო, როცა მელიამ ინდაური ძაღლს დაუგდო და თვითონ მიიმალა.

ჩემი ბებერი, ერთგული ძაღლი! ძაღლიც ამას ჰქვია... არა, ძაღლი კი არა, ოქროა, ახლავე ნაზუქს გამოვუტანო! — შესძახა პატრონმა.

თარგმნა მ. ჭიკვაძემ

# როგორ გავრცელდა კარტოფილი




საქართველოდან შორს, სამხრეთ ამერიკაში, წყნარი ოკეანის ნაპირზეა გადაჭიმული ძველი, მთაგორიანი ქვეყანა პერუ.

მდიდარია პერუს მიწა-წყალი. ბევრია იქ ოქრო, ვერცხლი, ნავთობი. პერუში იზრდება ქინაქინის ხე, მალარიისაგან კაცს რომ ჰკურნავს, ხარობს გევეია, მცენარე, რომელიც ნატურალური კაუჩუკის წვენს იძლევა.

მე-16 საუკუნის დასაწყისში, იმ დროისათვის ყველაზე დახელოვნებული ზღვაოსნები – ესპანელები და პორტუგალიელები—ახალი მიწების დაპყრობას აწარმოებდნენ. სწორედ ამ მიზნით ორი ესპანელი მეკობრე— ფრანცისკო პისარო და დიეგო დე ალმარა პერუში გაემგზავრა.

გამგზავრების წინ მათ გემზე ჩუმად შეიპარა ცამეტი წლის ესპანელი ბიჭუნა პედრო ჩეზა დე ლეონი, რომელიც ამ გემით პერუმდე მივიდა.

ბევრი რამ ახალი და არაჩვეულებრივი ნახეს ესპანელმა ყაჩაღებმა მათ მიერ დაპყრობილ პერუს მიწაზე. მაგრამ ისინი ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ პერუელები რაღაც უცნაური მცენარის მიწისქვეშა ნაყოფით იკვებებოდნენ. ეს იყო ნაყოფი იმ მცენარისა, რომელსაც ახლა ჩვენ კარტოფილს ვეძახით. პერუელები მას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ საკვებად.

პედრო მეტად ცნობისმოყვარე ბიჭი იყო. ყველაფერს, რასაც ამ უცხო ქვეყანაში ნახულობდა, გულმოდგინედ იმახსოვრებდა და ფაქიზად იწერდა დღიურში.

გავიდა საკმაოდ დიდი დრო და, აი, 13 წლის ბიჭის პერუში მოგზაურობიდან ოცი წლის შემდეგ, 1539 წელს, ესპანეთის ქალაქ სევილიაში გამოვიდა მისი წიგნი „პერუს ქრონიკა“. ამ წიგნიდან ევროპელებმა პირველად შეიტყვეს მეტად სასარგებლო მცენარის—კარტოფილის არსებობის შესახებ. მალე იგი პერუდან ევროპაში შემოიტანეს და მისი გავრცელება იწყეს. პირველად ევროპელებმა კარტოფილი არც თუ დიდი სიამოვნებით მიიღეს, ვინაიდან არ იცოდნენ მისი გამოყენება. არსებობს გადმოცემა, თითქოს ესპანელებმა კარტოფილის უმად შეჭმაც კი სცადესო. ცხადია, რომ უმ კარტოფილს სახარბიელო გემო არ ექნებოდა. მხოლოდ გვიან დაუწყიათ ესპანელებს მისი შეწვა, მოხარშვა.

ესპანეთიდან კარტოფილის თესლი იტალიაში გადაიტანეს. შემდეგ ეს მცენარე ინგლისში გავრცელდა, სადაც, პირველ ხანებში, მხოლოდ ღორის საჭმელად იყენებდნენ. მერე იგი ფრანგებსაც დაუთესიათ, და სახელად „პომ დე ტერი“ დაურქმევიათ, რაც ქართულად „მიწის ვაშლს“ ნიშნავს.

ზუსტად არავინ იცის, თუ როდის და როგორ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში კარტოფილის კულტურა. ამბობენ, იმპერატორ პეტრე პირველს, ჰოლანდიაში ყოფნის დროს, თავისი დაახლოებული პრინცის—შერემეტიევისათვის გამოუგზავნია ერთი ტომარა კარტოფილი და რუსეთში მისი გავრცელება უბრძანებია.

აი, ასე გავრცელდა კარტოფილის კულტურა ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ ჩვენს ქვეყანაში, ესპანელი მამაცი ბიჭუნას, პედრო ჩეზა დე ლეონის წყალობით.



პირველ ხანებში, რუსეთში, კარტოფილისაგან დამზადებული საჭმელი იშვიათ კერძად ითვლებოდა და ისიც მხოლოდ სასახლის მაღალი წრეებისათვის იყო განკუთვნილი. შემდეგ კი, როცა იგი ფართოდ გავრცელდა და ხალხმაც კარგად გაიგო მისი სარგებლიანობა, კარტოფილი საყოველთაო სასურსათო კულტურად იქცა.

კარტოფილს მეტად დიდი გამოყენება აქვს. გადაშალეთ თუნდაც სქელი სამზარეულო წიგნი. მასში ჩამოთვლილი საჭმელებიდან ათობით კერძი კარტოფილისაგან მზადდება. ტყუილად კი არ უწოდებენ კარტოფილს პურის თანაშემწეს. და განა მარტო საკვებად იყენებენ კარტოფილს; იგი შესანიშნავი ნედლეულიცაა მრეწველობისათვის: მისგან ამზადებენ სპირტს, სახამებელს, ხელოვნურ კაუჩუკს, სათბობს, სამკურნალო წამალს, წებოს, გლუკოზას და მრავალ სხვა პროდუქტს.

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებას.

დ. ნოზაძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

### ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგური... მატარებელში

ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ეს მშვენიერი, ცისფერი პიონერული ექსპრესი ერთ დროს სამ დამტვრეულ, უვარგის ვაგონს წარმოადგენდა. ნამდვილად კი სწორედ ასე იყო: ეს ვაგონები სადგურ ზალცვედელის სათადარიგო ხაზზე კარგა ხანს იდგა.

ერთ დღეს, ეს იყო 1955 წლის 11 ივნისს, ვაგონებს ათასნაირი ხელსაწყოებით დატვირთული მუშები და პიონერები მიადგნენ. ბავშვები ვაგონებში აფუსფუსდნენ და გაწმინდეს ისინი. წარმოებებიდან მოსული სპეციალისტები და მუშები ვაგონების შეკეთებასა და აღდგენაზე თათბირობდნენ...

სულ მალე ზალცვედელის პიონერული ორგანიზაციის ხელმძღვანელის — ჰერბერტ დრეიერის იდეამ ხორცი შეისხა. დაუღალავი და ნაყოფიერი შრომის შედეგად ზალცვედელის საწარმოთა და პიონერთა სახლის ერთსულოვანი დახმარებით, ორნახევარი მილიონი მარკის ღირებულების პირველი მოძრავი ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგური შეიქმნა. მოძრავი სადგური შესანიშნავადაა მოწყობილი, აქ არის: ფოტო-ლაბორატორია, ბიოლოგიის კაბინეტი, ნორჩკონსტრუქტორთა ოთახი, კინო-დარბაზი, კლუბი, თოჯინების თეატრი და სამკითხველო.

61 მეტრის სიგრძის ცისფერი ექსპრესი მოკლე ხანში დაიწყებს მოგზაურობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

### ვოროშილოვის სახელობის პიონერთა ბანაკი

1929 წელს გერმანიაში, ტემპლინის რაიონის სოფელ ჰაგელშპრინგთან ბერლინის მუშათა ბავშვებმა შექმნეს პიონერული ბანაკი, რომელსაც კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი უწევდა შეფობას.

ბავშვთა პროლეტარული მოძრაობის შემსწავლელმა ნოიბრანდერბურგის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა აღადგინოს პიონერთა ბანაკი „კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი". ბანაკი ისევ იქ გაიხსნება. სადაც 1929 წელს იყო და გარეგნულად დაიცავენ მის ძველ ფორმას. „ტელმან-პიონიერის" რაიონულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა. ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით, განაახლოს ბანაკი. 1958 წლის ზაფხულში აქ უკვე დაისვენებენ და პიონერულ ზაფხულს გაატარებენ გერმანელი პიონერ-მოსწავლეები, მოიწვევენ სტუმრებს საზღვარგარეთიდან.

### ბერნდ ჰოლლეს გმირობა

საახალწლო ზეიმზე ჰალეს სპორტული ინვენტარის საწარმოში ხანძარი გაჩნდა, ბერნდის გარდა ყველამ დასტოვა ალმოდებული შენობა. მან ბავშვის ყრუ ყვირილი გაიგონა და უშიშრად გასწია იმ ადგილისაკენ, საიდანაც ხმა ისმოდა. ერთ-ერთ ოთახში, მაგიდის ქვეშ სამიოდე წლის ბავშვი შენიშნა. სასწრაფოდ აიყვანა ხელში და ამ დროს მის ტანსაცმელსაც ცეცხლი მოედო. მაგრამ ბერნდი არ დაიბნა. იგი უშიშრად გამოვიდა ალმოდებულ შენობიდან და ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ჰალეს პიონერთა სახლმა 12 წლის პიონერი ბერნდ ჰოლლე სამაგალითო გმირობისათვის მედლით დააჯილდოვა.

### გამოფენა ლონდონში

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ლონდონის გაზეთ „დეილი უორკერის" რედაქცია აწყობს მსოფლიოს ბავშვების ნამუშევრების გამოფენას. სადაც წარმოდგენილი იქნება სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ჩუქურთმა ქვაზე და ხეზე, ხის სათამაშოები, ფოჯინები. ნაქსოვი და ნაქარგი, ფოტოები და სხვა.

გამოფენა ლონდონის გარდა ნაჩვენები იქნება ინგლისის სხვა ქალაქე-




ცისფერი ექსპრესი.
თოჯინების თეატრისა და კინოსათვის გამოყოფილ დარბაზში 70 ადგილია.

შიც: კოვენტრში, აბერდინში, ვოლფერჰამპტონში. ჟიურის შემადგენლობაში, ხელოვნების სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შორისაა იტალიელი მხატვარი რენატო გუტუზო და ინგლისელი გრაფიკოსი პაულ ჰოგარტი.

### გერმანელ პიონერთა საჩუქრები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეებმა 100 ათასი საახალწლო საჩუქარი მოაგროვეს ვიეტნამელი ბავშვებისათვის. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ცნობით 6 იანვარს სპეციალურმა თვითმფრინავმა წაიღო საჩუქრების ნაწილი ვიეტნამში, ხოლო დანარჩენს ორ ვაგონში დატვირთავენ და ისე გაგზავნიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიო-კომიტეტმა ხანოიდან მიიღო ტელეგრამა, რომელშიც იტყობინებიან, რომ შექმნილია საჩუქრების მიმღები და გამანაწილებელი



კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარემ გულითადი მადლობა გადაუხადა გერმანელ პიონერებს და წარმატებანი უსურვა მათ.

**ლ. ხადრაძე**




## „კარის მეზობლები“

— რა წავიკითხო?—მეკითხება ხშირად მეზობლის პატარა ბიჭი. მას უფრო ხალისიანი მოთხრობები უყვარს, სათავგადასავლო მოთხრობები ტოლ-სწორებზე.

ვურჩევ ოტია იოსელიანის „კარის მეზობლები“ წაიკითხოს. ამ წიგნში სულ შენი ტოლი ბიჭები და გოგონები არიან—შენსავით ცელქები და მოუსვენრები-მეთქი, ზოგი ბეჯითი და მუყაითი, ზოგიც ტრაბახა და ბუტია. კრებულში სულ ოცამდე მოთხრობაა მოთავსებული.

ყველასათვის სამაგალითო ბიჭია ნორჩი ნატურალისტი მირიანი. სწორედ მისი წყალობით დაემსგავსა ნატურალისტთა ცოცხალი კუთხე ვეება გვირგვინს. მან ზაზასთან ერთად ტყეში გარეულ ფუტკარსაც მიაგნო. მათ მიერ მოშენებული ფუტკარი მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედაც წაიყვანეს. გამოფენაზე იყო მირიანიც. აი, რამდენი რამ შეუძლია „მოუსვენარ ხასიათს“.

პატარა მეგობრებო, მჯერა თქვენც სიამოვნებით წაიკითხავთ ოტია იოსელიანის კარგ წიგნს.

**გურამ გოგიაშვილი**

## „ხვითო ბიჭი“

ამ პატარა წიგნში თორმეტი ზღაპარია მოთავსებული. კმაყოფილი დარჩებით, როცა წაიკითხავთ მათ. თქვენს ყურადღებას მიიპყრობს პატარა ჩიგოგული, რომელიც „სიბრძნის წყაროს“ ცოდნით შეიარაღებული სასტიკად ამარცხებს ხალხის ბოროტ მტერს—ქაჯთაბატონს. „აბურდანა და ბურდანა“ მოგითხრობთ—უგუნური მტარვალისა და ლაჩარი მეფის შესახებ, რომელსაც ქვეყნის დაპყრობა სურს, მაგრამ ბაყაყისაგან შეშინებულს გული უსკდება. თუ როგორ გადაიქცა მომღერალი ლერწამი ულამაზეს ქალწულად და ოქროს ვერძი—ახოვან ვაჟკაცად, თქვენ ამის შესახებ წაიკითხავთ ზღაპარში: „ხვითო ბიჭი“. ბევრს იცინებთ ბაქია თუნუქის ჭრაქზე, რომელსაც თავი განათების ვეზირად მოაქვს დღესაც—ელექტრონისა და ატომის ხანაში და კვლავ ძველებური რიხით დაჰყურებს სხვა საგნებს.




„საბლიტგამის“ მიერ პლატონ ბებიას ახლახან გამოცემული ზღაპრები დიდი ინტერესით იკითხება.

**ალ. კოკაია**



# ინჯი და მისი მამა

ორჰან ქემალი

ნახ. ვ. ბელეცკაიასი

ინჯის მამა ფაბრიკიდან დაითხოვეს. იგი დიდხანს ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ამაოდ. როცა ყოველგვარი იმედი დაკარგა, თავისი ოჯახით ცენტრალური ანატოლიის ერთ-ერთ ვილაიეთში გაემგზავრა. ეს მხარე საფეიქრო ფაბრიკებით იყო ცნობილი.

აქ ინჯის მამა ხელახლა შეუდგა სამუშაოს ძებნას. პირველად საფეიქრო ფაბრიკას მიაშურა. მაგრამ საამქროს უფროსთან ცოტა წალაპარაკება მოუხდა და ყველაფერი უკულმა წავიდა.

ყოველ დილით, როცა ინჯის მამა სამუშაოს საძებნელად მიდიოდა, დედა უკან მისდევდა და ჩურჩულით გზას ულოცავდა.

ინჯის ახსოვდა, თუ რა მხიარული იყო დედა, როცა მამა მუშაობდა. სალამოობით მამას შოკოლადი მოჰქონდა ინჯისათვის, გოგონას მუხლებზე დაისვამდა, და ეფერებოდა; ისიც ახსოვდა, რომ, როცა მამა მუშაობდა, მისი პატარა ძმა ასე გაბმულად არ ტიროდა.

ახლა კი რა მოუვიდა? ყვირის და ტირის გამუდმებით.

ამ დილით მამა ადრე ადგა და ვექილისაკენ გაემართა, რომელსაც ორი წლის წინ იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებია ანკარაში. იგი მეტად დიდგული წითელულვაშიანი ახალგაზრდა კაცი იყო. ინჯის მამამ შემთხვევით გ`იგო, რომ ვექილი მდივანს ეძებდა. ვექილმა მოსული თავით ფეხებამდე შეათვალიერა, ულვაშები გადიგრიხა და თვითკმაყოფილებით წარმოთქვა:

— კეთილი! ხვალ მობრძანდით ჩემთან კანტორაში!

როცა მამა სახლიდან წავიდა, ინჯი ქუჩაში გამოვიდა და მეზობელ გოგონასთან ერთად იქვე ჩამოჯდა.

— მამაჩემი დღეს ვექილთან მივა,—წამოიწყო ინჯიმ,—მამა ისეთი ჭკვიანი კაცია, რომ... ჩვენ წინათ კარგად ვცხოვრობდით... დედამ სამაჯური გაყიდა და იმ ფულით ჩამოვედით აქ...

— მამაჩემი კი სულელი ხომ არ გგონია?—გულმოკლულად თქვა ინჯის მეგობარმა.

— მამაშენი მეეტლეა...

— დიახ, მეეტლეა, თორემ სულელი კი არ არის!.

— მამაშენი ყველაზე ჭკვიანი იყოს მეეტლეთა შორის, სამაგიეროდ, მამაჩემი თავისი ჭკუით ბეგებს შორის გამოირჩევა!—თქვა ამაყად ინჯიმ.

— გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— მამამ თუ საწუშაო მიიღო,—უთხრა ინჯიმ და თვალები აუციმციმდა,—დედა სათამაშოდ მუდამ გამომიშვებს. ახლა რომ გაავებულია, განა წინათაც ასე იყო? მამას ბევრი ფული მოჰქონდა სახლში, დედა სკივრში ინახავდა. მაშინ მამა ხელში ამიყვანდა ხოლმე, ახლა კი არა... ახლა ჩემი ძმაც ტირის დღე და ღამე...

— წინათ არ ტიროდა?

— ტიროდა, მაგრამ ასე არა...

— რატომ?

— მამა უმუშევარია, ფული არა გვაქვს, დედა სადილს ვერ ამზადებს... ინჯის თვალებზე ცრემლები მოადგა.

— შენ ძმას რა ატირებს?—შეეკითხა მეზობლის გოგონა.

— როგორ თუ რა? თუ დედა არ შეჭამს, რძე გაუშრება... ძმა კი სულ რამდენიმე თვისაა... დედას რძე სულაც არა აქვს. მეც ცოტას მაჭმევენ, ამიტომ კბილები სუსტად მეზრდება.

* * *

— შევიდა თუ არა წითელულვაშიან ვექილთან, ინჯის მამამ მაშინვე პიჯაკი შეისწორა და ქუდი მოიხადა. ოთახში ვეებერთელა ვენტილატორი უხმოდ ტრიალებდა. ვექილმა ახლადშესულს საქმიანი კაცივით გულგრილად შეხედა და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— გუშინ სასამართლოს დერეფანში... მოკრძალებით მოაგონა ინჯის მამამ.

— ააა, დიახ, აქამდე სად მუშაობდით? სასამართ-

ლოში არ გიმსახურიათ? რა განათლება გაქვთ?—აარიდა კითხვებს ვექილი და თან განზე იხედებოდა.

— არ მიმსახურია... განათლება...

— მანქანაზე თავისუფლად ბეჭდავთ?

— არა უშავს-რა...

ვექილმა ინჯის მამა ერთხელ კიდევ შეათვალიერა და მისი წვერით დაფარული, ჩაცვივნული ლოყები არ მოეწონა.

ინჯის მამა მეორე ოთახში გავიდა. საბეჭდ მანქანაში ქაღალდები ჩააწყო და რამდენადაც შეეძლო, ჩქარა დაიწყო ბეჭდვა. თვალები თითებთან ერთად რბოდნენ, ხოლო ფიქრები შორს დანავარდობდნენ: „თუ თვეში სამოცდათხუთმეტ ლირას დამინიშნავს, ესე იგი ორნახევარ ლირას დღეში... იქნებ მეტიც... თუ მკითხავს, გასამრჯელოს რამდენს მოითხოვო, ვეტყვი, რომ თქვენ თვითონ ხედავთ..."

ბეჭდვა დაამთავრა. პიჯაკი კვლავ გადამეტებული თავაზიანობით შეისწორა და ქაღალდები ვექილს გაუწოდა. ვექილმა ცივად ჩამოართვა და საწერ-კალამი აიღო.

— აქ წერტილი არ დაგისვამთ; იქ კი წერტილის მაგივრად წერტილმძიმე უნდოდა...

ყოველ უმნიშვნელო შეცდომაზე ვექილი მედიდურად მიუთითებდა. თითქოს ამბობდა, „როგორ გაბედეთ და სამსახური მომთხოვეთო..."

— ამ საქმეზე ვერ გამოდგებით,—უთხრა მან.

ამ სიტყვებმა ინჯის მამა გაანადგურა. მას ხომ სრული იმედი ჰქონდა, რომ ვექილი მიიღებდა. მოეჩვენა, რომ ლოყებიც გაუცივდა.

— ნახვამდის... ძლივს წარმოთქვა მან.

ვექილმა პასუხის მიცემა საჭიროდ არ ჩათვალა.

* * *

— მამა მოდის!—წამოიძახა სიხარულით ინჯიმ, წამოხტა და შესახვედრად გაექანა.

მოწყენილი და დანაღვლიანებული ინჯის მამა ბარბაცით შევიდა სახლში. ფეხსაცმელი დამტვერიანებული ჰქონდა, ხოლო პიჯაკი თითქოს გაგანიერებოდა. თვალებში შიშჩამდგარი ინჯი უკან დაედევნა მამას.

ინჯის მამა ცოლს კიბეზე შეხვდა. ერთმანეთს თვალებში შეხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. გამხდარი კატა ოთახიდან გაიპარა.

ინჯი მამას თვალებში შესცქეროდა. ეგონა, მამაჩემი ეს-ეს არის ტირილს დაიწყებსო.

— ნივთებს სკივრში ვალაგებ,—თქვა დედამ და აფუსფუსდა.

— კარგი, ჩაალაგე... წაილუღლუღა მამამ და ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც ფაბრიკის ნაცრისფერი კედლები და იმის იქით ღია ლილისფერი მთაგრეხილი მოჩანდა. შემდეგ მისი მზერა მეზობელ სახლების კრამიტის სახურავებზე შეჩერდა. მან ისე ამოიოხრა, თითქოს მაერი არ მყოფნისო.

ამ დროს ინჯი გაიქცა და მამას წინ აეტუზა. მამამ სიბრალულით შეხედა გოგონას. ინჯი გათამამდა:

— მამიკო, ვექილმა სამუშაო მოგცა?

— არა, შვილო.

— რა უნდა ვქნათ ახლა?

— არაფერი, წავალთ სხვა მხარეს.

— თუ იქაც ვერ იშოვი სამუშაოს?

— კიდევ იქით წავალთ.

— თუ იქაც ვერ იშოვი?

— თუ იქაც ვერა, დავიხოცებით და ის იქნება...

ინჯი ჩაფიქრდა, მერე დედასთან მიირბინა.

— დედა, დედა! მამა ამბობს, რომ ჩვენ მოვკვდებით, მე კი სიკვდილი არ მინდა!

დედა სახით მიეყრდნო ღუმელს და არაფერი უპასუხა.

თურქულიდან თარგმნა
ლ. ერაძემ






### „მზრუნველობა"

ტანკერი „ბრიტიშ ინტერგრიტი" შორეული მალაიიდან მოვიდა. იგი თანამედროვე, ახლახან აგებული გემია. კიჩოზე მსუბუქი ქარი ბრიტანეთის ალამს აფრიალებს, ხოლო ანძაზე —ჩვენი ქვეყნის წითელ ალამს. ინგლისელებმა ძველი საზღვაო ჩვეულებისამებრ, ჩვენი ქვეყნისადმი პატივისცემის ნიშნად აღმართეს იგი, როცა ბათუმის ნავსადგურში შემოვიდნენ. პატარა მომსვლელებს მოკლე, თეთრ შარვალში გამოწყობილი გემის უფროსი ოფიცერი გვხვდება. იგი მაღალი, მსუბუქი კაცია. ჩვეულებრივი მისალმებისა და შეკითხვების შემდეგ, უფროსი ოფიცერი გვაწოდებს ლონდონურ არომატიან სიგარეტებს.

— როგორაა საქმე მალაიაში?

უფროსმა ოფიცერმა ერთი-ორი ნაფაზი დაჰკრა და გვიპასუხა:

— ჩვენმა მთავრობამ მალაელ ხალხს დამოუკიდებლობა მიანიჭა. დიდი ბრიტანეთი დაუღალავად ზრუნავს კოლონიური ხალხებისათვის, ხელს უწყობს მათ განვითარებას.

შემდეგ უფროსმა ოფიცერმა ტანკერის დასათვალიერებლად მიგვიწვია. უდავოა, ინგლისელი ოფიცრები და მატროსები ცუდად არ ცხოვრობენ. ოფიცრებს სუფთად და ლამაზად მოწყობილი ცალ-ცალკე კაიუტები აქვთ, სისუფთავეა მატროსების საერთო კაიუტებშიც.

ჩვენ მივყვებით უფროს ოფიცერს, მაგრამ კიჩოსთან მისვლამდე იგი გვაჩერებს და ამბობს:

— აქეთ წასვლა აღარ ღირს, იქ ზანგები ცხოვრობენ.

— მერე და, რა მოხდა. განა არ შეიძლება ვნახოთ, როგორ ცხოვრობენ ისინი?

— არა, რატომ არ შეიძლება, —უკმაყოფილოდ გვეუბნება უფროსი ოფიცერი, —ამბობენ რომ თქვენ, საბჭოთა ადამიანები, ზანგებს ადვილად იტანთ.

ჩვენ ვათვალიერებთ კაიუტებს, სადაც ზანგი მატროსები ცხოვრობენ. მათ არც შეიძლება კაიუტა ვუწოდოთ. ეს პაწაწინა საკუჭნაოებია, რომლებშიც ნახევრადმოხრილი უნდა შეხვიდე. იატაკზე დაყრილი ჩვრები ზანგებს ლოგინის მაგივრობას უწევს.

თურმე გემზე ყველა შავ სამუშაოს ზანგები ასრულებენ. ისინი თეთრებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ. კაიუტ-კომპანიასა და თეთრი მატროსების კაიუტებში ზანგები შედიან მხოლოდ როგორც მსახურნი. ხოლო ერთი და იგივე სამუშაოსათვის ზანგი მატროსი ექვსჯერ ნაკლებ გასამრჯელოს იღებს, ვიდრე ინგლისელი.

ჩვენთვის ცხადზე უცხადესი ხდება, როგორია ინგლისელების „ზრუნვა" კოლონიური ხალხებისათვის.

### ვენტილაცია

„ტაქსიარხისი" საბერძნეთის პატარა გემია, რომელიც ბათუმიდან ეგვიპტის ნავსადგურ ალექსანდრიაში მანქანის ზეთის გადასაზიდად დაიქირავეს. გემი ძლიერ მოძველებულია, ახლა ასეთი კონსტრუქციისას აღარ აშენებენ. კაპიტანის კაიუტა ისე პატარაა, რომ შიგ ვერც მობრუნდები. საწოლიც და საწერი მაგიდაც აქ დგას.

სტუმრებს შავი ყავით გაგვიმასპინძლდა კაპიტანი. შემდეგ გემის დასათვალიერებლად გაგვიძღვა. ძლიერი პორტალური ამწე ღია ტრიუმებში უშვებდა მანქანის ზეთით სავსე რკინის კასრებს.

ჩვენ მატროსების კაიუტებში შევდივართ. იქ ისეთი სივიწროვეა, რომ ორი კაცი ვერ მობრუნდება. და თუ მაინც და მაინც ორივეს ერთად უნდა შიგ ყოფნა, ერთ-ერთი საწოლზე უნდა დაწვეს. ირგვლივ უსუფთაობაა, თეთრეული კარგა ხანია არ გაურეცხავთ. კაიუტის კედლები შუადღის მცხუნვარე მზეს გაუხურებია და იქ აუტანელი სიცხეა.

— რატომ არა გაქვთ კაიუტებში ვენტილაცია?— შევეკითხეთ კაპიტანს.

—გემი დიდი ხნის წინათაა აგებული, ხოლო რეკონსტრუქციის დროს ვენტილიატორები ტრიუმებში დავდგით, —გვიპასუხა მან.

— კი მაგრამ, რატომ კაიუტებში არ მოაწყეთ?

— კაიუტებში?—გაკვირვებით შეგვეკითხა კაპიტანი და შემდეგ განმარტა.—ტრიუმებში ჩვენ ხშირად ძვირფას ტვირთს ვინახავთ, მაგალითად, ხილს. იქ თუ ვენტილაცია არ იქნა, ხილი მალე გაფუჭდება. გემის პატრონი ფულს იმისათვის როდი დახარჯავს, რომ მატროსებს ასიამოვნოს. ხოლო, თუ მათ არ მოსწონთ გემზე არსებული წესები, კეთილი ინებონ, წაიღონ თავიანთი კონკები და საითაც სურთ იქით წაბრძანდნენ. სხვებს ავიყვანთ, ჩვენთან ხომ ათასობითაა უმუშევარი მატროსი.

## პიონერული ნიშანი

ბათუმის ნავსადგურში ორი დღე იდგა ნორვეგიის ტანკერი „აურელიანი“. ტანკერის კაპიტანმა მ. მადსენმა და რამდენიმე ოფიცერმა ინახულა პიონერთა პარკი. ბავშვებმა კაპიტანს პიონერული ნიშანი აჩუქეს, რომელზეც გამოხატულია პიონერული კოცონის ალი და მათი დევიზის სიტყვები: „იყავ მზად“.

კაპიტანმა ნიშანი მოწიწებით გაიკეთა შავ კიტელზე და ისე დაბრუნდა გემზე. ტანკერის სტიუარდმა კაპიტანის მკერდზე პიონერული ნიშანი რომ დაინახა. მიუახლოვდა და უთხრა:

— ბატონო კაპიტანო, ნება მომეცით გამოგართვათ ეს ნიშანი და საიმედო ადგილას შევინახო.



შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და განმარტა ამის მიზეზი.

— ჩვენ ახლა ტეჰასში მივდივართ—ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სამხრეთ შტატში. ნავსადგურში ჩვეულებრივ გულმოდგინეთ გვჩხრეკავენ. ქალაქში, გასასვლელთან, პოლიციელთა პატრული დგას, რომელიც ჩასულ მეზღვაურებს მკერდიდან აგლეჯს საბჭოურ ნიშნებს.

ნეტავ ასე რატომ აფრთხობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველებს პატარა, პიონერული ნიშანი? ხომ არ ეშინიათ, რომ მასზე გამოხატული წითელი ალი ამერიკას მოედება?

**ვ. მარგველაშვილი**

ნახ. **დ. ნოდიასი**

## მითოლოგიური ლექსიკონი

### ტანტალოსის ტანჯვა

**ფრიგიის** მეფე ტანტალოსი ღმერთებს ძალზე უყვარდათ, პატივს სცემდნენ მას და ხშირად თავის სამყოფელში ჰპატიჟობდნენ კიდეც. მაგრამ ტანტალოსმა ბოროტად გამოიყენა ღმერთების ნდობა: ადამიანებს მოუთხრო ღმერთებისაგან გაგონილი. ამან ღმერთები განარისხა და იგი მკაცრად დასაჯეს: ჯოჯოხეთში ჩააგდეს და მუხლამდე წყალში ჩააყენეს. მის თავზე გადმოშვერილი იყო ხილით დახუნძლული ტოტები, მაგრამ, როგორც კი ხელს გაიშვერდა, ტოტები მალლა იწევდნენ; წყალი მოსწყურდებოდა—წყალიც უკან იხევდა, შრებოდა.

ამიტომაცაა რომ ხალხმა დაუკმაყოფილებელი სურვილით გამოწვეულ ტანჯვას „ტანტალოსის ტანჯვა“ უწოდა.

### სიზიფის შრომა

**სიზიფე** კართაგენის პირველი მეფე, მკაცრი და ბოროტი ადამიანი იყო, იგი სასტიკად ძარცვავდა ყველას და თვით ღმერთებსაც არ ეპუებოდა, მაშინ ზევსმა დასაჯა იგი: სიზიფს მთაზე დიდი ლოდის ატანა უბრძანა, რომელიც მთიდან უკანვე გორდებოდა.

სიზიფის შრომა მძიმე და უშედეგო იყო.

აქედან გაჩნდა გამოთქმა: „სიზიფის შრომა“, რაც უსარგებლო, უნაყოფო შრომას ნიშნავს.

### გორდიასის კვანძი

**ფრიგიის** მეფე გორდიასმა ისე ეშმაკურად შეჰკრა თავისი ეტლის ხელნა, რომ მას ვერავინ ხსნიდა. არსებობდა თქმულება, რომ ვინც მას გახსნიდა, მთელ აზიას დაიპყრობდა. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ფრიგიაში მივიდა, მან მოითხოვა ენახა ეს უცნაური ეტლი და როცა დარწმუნდა, რომ ნასკვის გახსნა მართლაც შეუძლებელი იყო, ხმლით გადასჭრა იგი. ამით მან თავის ძლიერებას გაუსვა ხაზი.

მას შემდეგ, როცა კი ადამიანი რაიმე გასაჭირს თამამად სძლევს, გადალახავს, მასზე ამბობენ, „გორდიასის კვანძი“ გასჭრაო.

### რუბიკონის გადალახვა

**რუბიკონი** მდინარეა იტალიაში, რომელიც რომს გალიისაგან ჰყოფდა. 49 წელს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც იულიუს კეისარი სენატს განუდგა, თავისი ჯარით რუბიკონს—სახელმწიფო საზღვარს მიადგა. ერთხანს იგი ყოყმანობდა—გადაელახა თუ არა რუბიკონი. ბოლოს თქვა—„წილი უკვე ვყარე“, ესე იგი, რაც იქნება, ის იქნებაო, და მდინარის გადალახვა ბრძანა.

აქედან დარჩა ხმარებაში „რუბიკონის გადალახვა“—გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, გადამჭრელი ზომის მიღება.



ე. ჟორჟოლიანი

# კვახჭირელ პიონერებთან

ლამაზი სოფელია კვახჭირი. მდინარე რიონის მარცხენა მხარეს, მაღლობზე, ხის ორსართულიანი და ხშირად აგურის ცისფერშუშაბანდიანი სახლებია შეფენილი. სახლების წინ ბაღები და ვენახებია გაშენებული. შორიდანვე თვალს იტაცებს ნაძვებში ჩადგმული ორსართულიანი თეთრი შენობა — სოფლის სკოლა.

ეზოში ბავშვები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. ერთნი ბარს იქნევდნენ და ორმოს თხრიდნენ, მეორენი აკაციის ნერგებს ორმოებში ფრთხილად ათავსებდნენ. ცნობისმოყვარე პატარები დილიდანვე მოსულიყვნენ და ინტერესით შეჰყურებდნენ მათი უფროსი ამხანაგების—პიონერების საქმიანობას.

მთელი ერთი კვირა გაგრძელდა ტყის დღის დამხმარე ღონისძიება. პიონერებმა აქ, სკოლის ეზოში 1200-ზე მეტი აკაციის ხე დარგეს. მალე ხშირი, ახალგაზრდა ტყე აშრიალდება ეზოს მარცხენა მხარეს. მარჯვნივ კი მიჩურინული ფართობია. ფართობზე გაშენებულია 500 ძირი ცოლიკაურის ჯიშის ვენახი. მსხმოიარე 200 ძირიდან, გასულ წელს მიჩურინელებმა 600 კილოგრამი ყურძენი მიიღეს.

მეფუტკრეობაც იტაცებს კვახჭირელ პიონერებს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ძირი სკა უდგათ. სკაში ფუტკრების ორი ოჯახი ცხოვრობს, საიდანაც პიონერებმა 15 კილოგრამი თაფლი ამოიღეს.

ნატურალისტთა წრე ამაყობს ნორჩი მეაბრეშუმეებით —ნაილი თვალავაძითა და ლეილა რევიშვილით. ეს პიონერები საკავშირო გამოფენის კანდიდატები არიან; მათ ხომ გასულ წელს 3,5 გრამი ჰიის თესლიდან ნაცვლად 7,5 კილოგრამისა, 26 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს, რისთვისაც 1700 მანეთი ფულადი პრემია მიიღეს.

კვახჭირელ მოსწავლეებს ძალიან უყვართ ტექნიკა. მათთვის სკოლის შენობაში მოწყობილია სახელოსნო. აქ იჩარხება სხვადასხვა ხელსაწყოები. თაროებზე ნახავთ ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრებს. ცვლადი დენის შორ მანძილზე გადაცემის სადემონსტრაციო ხელსაწყოს; მილევადი ელექტრული რხევების სადემონსტრაციო ხელსაწყოს; ჰორიზონტალური და ეკვატორული კოორდინატების საჩვენებელ მოდელს. მერვე რესპუბლიკური კონკურსისათვის ნორჩი ტექნიკოსი თენგიზ აფრიდონიძე ამხანაგების დახმარებით აკეთებს უნივერსალურ გალვანომეტრს.

ტექნიკოსებს არც ხელგარჯილობის წრე ჩამორჩება. წრის ხელმძღვანელი ლუბა ტორაძე მქარგავ გოგონებს ასწავლის, თუ როგორ შეუხამონ ფერები ერთმანეთს, როგორი ძაფი შეარჩიონ, ტილო როგორ დაიჭირონ ხელში, ან ნემსი როგორ მოიმარჯვონ. ნუნუ თვალავაძე, ნუნუ ქიქინაძე, თინა ჩხიკვაძე, ნაილი აბესაძე და სხვები გატაცებით ქარგავენ ფრინველებს, ცხოველებს, ბუნების სურათებს. წრე ბავშვთა ხელოვნების რესპუბლიკური კონკურსისათვის მეტრნახევრიან ტილოზე ამოქარგავს „მშვიდობის მტრედს.“

სკოლას აქვს ბუნებისმეტყველების კაბინეტი, რომელიც სავსეა სხვადასხვა ცოცხალი ყვავილებით. ძნელია ყველაფრის, როგორც სასწავლო ოთახების, ისევე კაბინეტების მოთავსება ერთ პატარა, ორსართულიან შენობაში. გაფართოების მიზნით წელს დაიწყო მშენებლობა. იქვე, სკოლის შენობის გაგრძელებაზე ჩაჰყარეს სამსართულიანი შენობის საძირკველი. არდადეგების პერიოდში 22 მოსწავლისაგან შეიქმნა ბრიგადა. ბრიგადას ალკკ კომიტეტის მდივანი ჯანიკო ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა. ხელებაკაპიწებული ეზიდებოდნენ ქვებსა და აგურებს. ერთმანეთში ურევდნენ სილასა და კირს. მშენებლობაში თავი ისახელეს მოსწავლეებმა: მურმან ყუბანეიშვილმა, ქართლოს რევიშვილმა, ჯემალ ლოლაძემ, ენვერ მაჩიტაძემ, თენგიზ აფრიდონიძემ, ივანე ოდილაძემ, მურმან მაჩიტაძემ, ჰამლეტ თვალავაძემ, მზია ახვლედიანმა, მაყვალა მამასახლისმა და სხვებმა.

ბრიგადის მუშაობის შედეგად დაზოგილია 35.000 მანეთი.

მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის შენობის ძველ ნაწილში დარჩება მხოლოდ წრეების ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიები. გაკვეთილები კი ჩატარდება ოცდაოთხ ახალ ნათელ და მზიან, სასწავლო ოთახში.






## მოშინაურებული ნიანგი

დღემდე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნიანგი სავსებით მოუშინაურებული ცხოველია. ამასვე ამბობდა ცხოველთა ბუნების შესანიშნავი მცოდნე, ცხოველებით მოვაჭრე ჩარლ ჰეგენბეკი. მაგრამ ამასწინად ვენელმა პროფესორმა რობერტ ბრესლერმა სავსებით საწინააღმდეგო რამ დაამტკიცა: ფლორიდის ჯუნგლებში მან სავსებით პატარა, სიგრძით 12 სანტიმეტრი და წონით 50 გრამი ნიანგი დაიჭირა და ვენაში ჩამოიყვანა. ნიანგი სწრაფად გაიზარდა და სულ მოკლე ხანში სიგრძით ორ მეტრს მიაღწია: იგი ძალზე დაუმეგობრდა თავის პატრონს, ავტომობილით დაყვება სასეირნოდ და, ასე გასინჯეთ, პროფესორთან ერთად აუზშიც კი ბანაობს.



## „კარლ ცეისის" ნაწარმი

იენში არის შესანიშნავი სახალხო საწარმო «კარლ ცეისი» — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიამაყე. იგი ამზადებს სხვადასხვა ოპტიკურ ხელსაწყოებს,—უმცირესი ზომის ოპტიკურ მინებიდან უზარმაზარ მინა-გიგანტებამდე. «კარლ-ცეისმა» დაამზადა ტელესკოპის რეფლექტორი, რომლის დიამეტრი ორ მეტრს, ხოლო წონა 2,7 ტონას უდრის. ქარხნის ინჟინრებმა თითქმის მთელი წელი მოანდომეს მისი კონსტრუქციის მათემატიკურ გაანგარიშებას. ამ უზარმაზარი მინის მასის გაციებას, რომლისგანაც დამზადებული იქნა რეფლექტორი, ცხრა თვე დასჭირდა.

ქარხანას, სადაც 1800-ზე მეტი მუშაა გაერთიანებული, აქვს შესანიშნავი პლანეტარიუმი, მისი სპეციალური დანადგარების საშუალებით შესაძლებელია სამყაროს აგებულებაზე დაკვირვება, ჩრდილოეთის მხარის მცხოვრებთათვის სამხრეთის ცის ჩვენება და სხვა. მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რასაც ამზადებს «კარლ ცეისი», არის სპეციალური დანიშნულების უმცირესი ზომის ოპტიკური ლინზები. მათი სიდიდე ქინძისთავის თავის მეოთხედი თუ იქნება.

700 ასეთი ლინზა იწონის მხოლოდ ერთ გრამს. ლინზა, მიუხედავად მისი მიკროსკოპული მოცულობისა, დამუშავებულია განსაკუთრებული სიზუსტით და ამიტომ ძვირად ფასობს. ერთი კილოგრამი ასეთი ლინზებისა ღირს იმდენივე, რამდენიც 8.5 ტონა ოქრო.

## მკვდარი სპილოების ქალაქი

არცერთ ადამიანს არასოდეს არ უნახავს სპილოს სიკვდილი. უფრო მეტიც, დღემდე არავინ შეხვედრია თავისი, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარ სპილოს.

ინდოეთში არის თქმულება, თითქოს ავადმყოფი ან მოხუცი სპილო, სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს, სცილდება თანამოძმეებს. შეუჩერებლივ გადაივლის ტყე-ღრეს და სპილოების სასაფლაოზე დალევს სულს.

სად მდებარეობს ასეთი სასაფლაოები? ეს კითხვა დიდი ხანია აღელვებს მეცნიერებს და, არა მარტო მეცნიერებს. ბევრი ცდილობდა როგორმე აღმოეჩინა სპილოების სასაფლაო, მაგრამ სპილოები გულმოდგინედ მალავენ უცხო თვალისაგან თავიანთ სასაფლაოს. აი, რას ჰყვებიან ამის შესახებ ცეილონზე:

კუნძულის სიღრმეში, გაუვალ ტყეში, მდებარეობს ერთი უძველესი ქალაქის ნანგრევი, ერთ დროს ეს ქალაქი მთელი ქვეყნის დედაქალაქი ყოფილა. ახლა იქ, სასახლეებისა და ციხეების ნანგრევებში, თეთრად ელავს უზარმაზარი ძვლები. ეს სპილოს ძვლებია. საუკუნეთა განმავლობაში მოდიოდნენ აქ სპილოები, რათა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაეტარებიათ და დახოცილიყვნენ. საშინელი სანახავია ეს მიდამოები. ველურ, უნაყოფო ულრანში არ ცხოვრობენ არც ცხოველები, არც ფრინველები. გველების მეტი ვერავინ ბედავს დაარღვიოს მკვდარი ქალაქის მყუდროება.

ეს ლეგენდაა. შეიძლება, ძნელად დასაჯერებელი იყოს, მაგრამ ჯერჯერობით მეცნიერებისათვის ცნობილი არ არის მომაკვდავი სპილოს გაუჩინარების ამბავი. ზოგი ამას იმით ხსნის, რომ დაუძლურებული სპილოები ჭაობში ეფლობიან და იქ იღუპებიანო.

ასეა თუ ისე, მეცნიერებს აქ თავისი უკანასკნელი სიტყვა ჯერ არ უთქვამთ.

## უნივერსალური მცენარე

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ლერწამს ხეს ვეძახით, ნამდვილად კი—ბალახია.

ლერწამი საოცარი სისწრაფით იზრდება: იგი დღე-ღამეში სიგრძეში 6-დან 34 სანტიმეტრამდე მატულობს, საერთოდ კი მისი სიმაღლე 50 მეტრს აღწევს.

ვინაიდან ლერწამი მეტად მკვრივია, მას ფართო გამოყენება აქვს ტექნიკაში. მისგან აკეთებენ წყლის გასაყვან მილებს, ტივებს, ნავებს, სახლებს და ხიდებს; ლერწმის ყლორტებისაგან აკეთებენ ღობეს, აფრებს, კალათებს, ჰილობებს, ქოლგებს; ლერწმის ბურბუშელას ლეიბისათვის იყენებენ, მისი ბოჭკო კი ხმარდება ჩინეთის აბრეშუმის ქაღალდის დამზადებას, რომელზედაც ძვირფასი ლითოგრაფიები და გრავიურები იბეჭდება. ამის გარდა ლერწმისაგან მზადდება ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ჭურჭელი, მარაოები, საცრები, თოკები და სხვა.

კუნძულ იავას მკვიდრნი კოცონზე ლერწმისაგანვე დამზადებულ ჭურჭელში ხშირად ხარშავენ ლერწმის ტოტებსა და ნორჩ ყლორტებს.

ინდო-ჩინეთის მოსახლეობა მტაცებელი ნადირისაგან თავის დასაცავად ლერწმის წვეტიანი კვარისაგან აშენებს თავსაცავ ზონებს.

ლერწმის ახალგაზრდა ყლორტების კოცონი ძლიერი ტკაცუნით იწვის. ლერწმის ამ თვისებით სარგებლობენ მონადირეები და ტყეში ღამის გათევისას აშინებენ მტაცებლებს.

## მელია ქალაქში

ქალაქ სიზრანის ერთ-ერთ სახლში, სისტემატურად იკარგებოდა ქათმები და იხვები.

სამი თვის მანძილზე უცნობი ქურდისაგან ორმოცზე მეტი ფრინველი იყო მოტაცებული. მობინადრეები შეწუხდნენ და რიგრიგობით დაუწყეს თვალთვალი საქათმეს, მაგრამ ქურდი ვერაფრით ვერ აღმოაჩინეს. ქათმები და იხვები კი კვლავ იკარგებოდა.

ბოლოს, მობინადრეებმა მოიწვიეს გამოცდილი მონადირე, იგი კვალმა მივიწყებულ აბჯანოსაკენ მიიყვანა. როცა მონადირე სხვენზე ავიდა, მილიდან უშველებელი წითური მელა გადმოხტა და ბეღლის ქვეშ მიინაბა. ყველა გზები ჩაუკეტეს და მელია დაიჭირეს.

თურმე, მელია რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა.



## მეგობარი ბატი

ადამიანის საუკეთესო მეგობრად ცხოველთა შორის, ჩვეულებრივად, ძაღლი ითვლება, მაგრამ ხალხი დამაჯერებლად ლაპარაკობს, რომ ყოველ ცხოველს შეუძლია გახდეს ადამიანის მეგობარი.

მაგალითისათვის გამოგვადგება ბატი მარცელინო, რომელიც ბუენოს-აირესის ერთ-ერთ მცხოვრებს ეკუთვნის.

ეს ბატი თავის პატრონს ავტობუსამდე აცილებს, საღამოს დასახვედრად გამოდის, და თანაც გზაზე, კიოსკში, გაზეთს ყიდულობს.

ლიტერატურულ თემაზე

# გამოჩენილ ადამიანთა შესახებ

თქვენ ალბათ ძალიან ხშირად დაინტერესებულხართ, თუ როგორ და რა პირობებში იწერებოდა რომელიმე თქვენი საყვარელი წიგნი, პიესა ან მუსიკალური ნაწარმოები.

ისტორიამ, მართალია, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც შემოგვინახა ცნობები ჩვენთვის საინტერესო საუბრის თემაზე. ამ ცნობებში თქვენ გაეცნობით არა მარტო ამა თუ იმ მწერლის მუშაობის პირობებს, არამედ მწერლების ზოგიერთ პირად თვისებებსაც, რაც, შეიძლება, ერთი შეხედვით, უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ.

ფრანგი ხალხის დიდ განმანათლებელსა და მწერალს—ვოლტერს ძალიან უყვარდა კარგად ნაკეთები ნივთები, რითაც მისი საცხოვრებელი სახლი თითქმის სავსე იყო, თავის სამუშაო კაბინეტში რამდენიმე საწერი მაგიდა ედგა. ყველა მათგანზე ცალ-ცალკე ქაღალდები და საწერ-კალამი ელაგა. ერთ მაგიდაზე რომანებს წერდა, მეორეზე ტრაგედიებს, მესამეზე ისტორიულ გამოკვლევებს.

ვოლტერთან შედარებით თითქმის სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იყო ფრანგი ხალხის მეორე დიდი განმანათლებელი და მწერალი ჟან-ჟაკ რუსო.

თვითონ რუსო უბრალო და თავმდაბალი ადამიანი იყო. მას არა სწამდა ფუფუნებით ცხოვრება, თავდავიწყებამდე უყვარდა ბუნება. იგი ხშირად ამბობდა: „ჩემი საუკეთესო სამუშაო კაბინეტია მონმარანსის ტყეო“.

რუსო, თითქოს ბედი არა სწყალობსო ცხოვრობდა პარიზის ერთ ყველაზე ვიწრო ქუჩაზე, მეხუთე სართულზე ერთი პატარა ოთახი ეკავა. აქ იძინებდა, სადილობდა და ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. საწერი მაგიდა ლუმელთან ედგა, იქვე იდგა ხის უბრალო საწოლი. რუსო მუშაობისას ჩაიცვამდა ჩითის ხალათს და ისე წერდა. ის მწუხარებით შეჰყურებდა ხოლმე თავის საყვარელ მონმარანსის ტყის ჩანახატს, რაც ახლო კედელზე ჰქონდა დაკიდებული.

უცნაური თვისებები ახასიათებდა ფრანგ პოეტს დე ლილს. იგი, თუ ოთახში ჩაკეტილი არ იყო, ისე ვერაფერს დაწერდა. ამიტომ, პოეტის მეუღლეს ქმარი ყოველთვის ოთახში გამოკეტილი ჰყავდა. პოეტს ერთხელ ორი მეგობარი ეწვია, მაგრამ ოთახში ვერ მოახერხეს შესვლა. პოეტმა მათ ფანჯრიდან გადმოსძახა: „ჩემი ცოლი ბაზარში წავიდა და გასაღები იმან წაიღოო“. მეგობრები იძულებულნი გახდნენ მოეცადათ, ვიდრე დე ლილის ცოლი ბაზრიდან დაბრუნდებოდა.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი მეტად შრომისმოყვარე ადამიანი იყო. იგი თავისთავზე ხშირად იტყოდა ხოლმე: „კატორღის მუშა ვარ, ბედმა კატორღა მომისაჯაო“, ესე იგი, მეტად მძიმე შრომას ვეწევიო.

ბალზაკი ყოველთვის საღამოს 6 საათზე სადილობდა და მაშინვე დასაძინებლად წვებოდა. შუაღამისას ადგებოდა, ჩაიცვამდა უბრალო ხალათს, დიდი ფინჯანით ყავას დალევდა, შვიდ წმიდა სანთელს აანთებდა და დაიწყებდა წერას. წერდა თითქმის დაუსვენებლივ, მეორე დღის შუადღემდე.

ბალზაკი წერდა ცალკე ფურცლებზე. რამდენ ფურცელსაც გაავსებდა, ყოველგვარი დანომვრის გარეშე, ზურგს უკან იატაკზე ისროდა. შუადღისას მის სამუშაო ოთახში მსახური შემოვიდოდა და მწერალს საუზმეს მოუტანდა. მსახური იატაკზე დაყრილ ფურცლებს მოაგროვებდა და პირდაპირ სტამბაში მიჰქონდა.

სტამბაში მუშებს დიდი ჯაფა ადგათ, რადგან ხელნაწერი ფურცლების შინაარსის მიხედვით დალაგება დიდ შრომას მოითხოვდა.

ცნობილი ფრანგი მწერალი თეოფილ გოტიე გადმოგვცემს, რომ ბალზაკის ნაწერების კორექტურის გაკეთება ნამდვილი ცეცხლი იყო სტამბის მუშებისთვისო. მწერალი ხან სხვადასხვა ადგილზე წააწერდა ახალ სტრიქონს, შენიშვნას ჩაურთავდა, ხან ახალ წინადადებას მიუმატებდა რომელიმე ფურცელს. ბალზაკი უამრავ კორექტორულ ნიშნებს ხმარობდა. ზოგან ვარსკვლავით, ხაზით, ზოგან რომაული, ბერძნული და ლათინური ასოებით აღნიშნავდაო.

დიდი იტალიელი პოეტი დანტე ალიგიერი თავისი წიგნების გეგმას მაშინ ადგენდა თურმე, როდესაც მუსიკის ხმა ესმოდა, ან ცხენით სეირნობდა.

დიდ ნატურალისტს ბიუფონს მხოლოდ მაშინ შეეძლო ეაზროვნა, როცა კარგად ჩაცმული და გამოწყობილი იყო. ხოლო მუშაობის დროს თუ თმა ჩამოეშლებოდა, მაშინვე ფიქრის ძაფი უწყდებოდა და მუშაობას თავს ანებებდა. მსახურები სასწრაფოდ მოიყვანდნენ დალაქს, რომელიც თმას ხელახლა დაუხვევდა ხოლმე. ამის შემდეგ დიდი მოაზროვნე კვლავ განაგრძობდა შრომას.

ცნობილ გერმანელ კომპოზიტორ ჰაიდნს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: თუ კარგად ჩაცმული არ იყო, არ შეეძლო აზროვნება. ხელზე თუ ერთი ბეჭედი აკლდა, მთელი დღეც რომ მჯდარიყო როიალთან, ვერავითარ მუსიკალურ ნაწარმოებს ვერ შექმნიდა.

გერმანელ ფილოსოფოსს კანტს თურმე თავისი ფილოსოფიური აზრები გათენებისას წამოეჭრებოდა ხოლმე. იგი ყოველ დილით ადგებოდა, ცოტას გაივლ-გამოივლიდა და მერე დაჯდებოდა თავის სამუშაო ოთახში ისეთ ადგილას, რომ ფანჯრიდან ერთი დანგრეული კოშკისთვის ეცქირა, რომელიც მისი სახლის პირდაპირ იყო. როცა ხეები გაფოთლდებოდა, კოშკს ეფარებოდა და კანტსაც აღარ შეეძლო მუშაობა. ახე მეორდებოდა ყოველ წელიწადს. გადმოგვცემენ, რომ ბოლოს იძულებული გახდნენ ხეები მოეჭრათ, რადგან კოშკს ეფარებოდა და კანტს მუშაობას უშლიდაო.

დიდი ინგლისელი პოეტი ბაირონი ღამით მუშაობდა თავის ნაწარმოებებზე. თუ მშიერი არ იყო, ის ვერაფერს ვერ დაწერდა. წერის დროს მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა და თამბაქოს ღეჭდა. საერთოდ, ბაირონი ღვინოს არ სვამდა და ხორცეულს თითქმის სრულიად არ ეკარებოდა.

მეორე დიდი ინგლისელი პოეტი—შელი, როგორც გადმოგვცემენ, წერის დროს თურმე მუდმივად პურს ღეჭდა.

გამოჩენილი ფრანგი იგავთმწერალი ლაფონტენი დილაობით ჯერ უსათუოდ შემწვარ ვაშლს შეჭამდა და შემდეგ შეუდგებოდა თავის საქვეყნოდ განთქმული იგავების წერას.

დიდი გერმანელი პოეტი და დრამატურგი ფრიდრიხ შილერი ყმაწვილობაში მეტად ბეჯითი და ნაკითხი იყო. იგი ერთხანს ჩანგზე დაკვრას სწავლობდა. მეზობლებს მან თავი მოაბეზრა ჩანგის ჟღარუნით. ერთხელ გაჯავრებულმა მეზობელმა შილერს დაცინვით უთხრა: „დიახ, ბატონო შილერო, თქვენ ისე უკრავთ ჩანგს, როგორც დავით წინასწარმეტყველი, მაგრამ ისე კარგად ვერა“.

— თქვენც, ჩემო მოწყალეო მეზობელო, ისე ლაპარაკობთ, როგორც სოლომონ ბრძენი, მაგრამ ისე ჭკვიანურად კი ვერა,—უპასუხა შილერმა.

ფრიდრიხ შილერი თავის ნაწარმოებებს ყოველთვის ღამით წერდა. მუშაობის დროს ყავასა და შამპანურს სვამდა. გადმოგვცემენ, რომ შილერს მუშაობის დროს საწერ მაგიდაზე დამპალი ვაშლი ყოველთვის წინ ედო. ასეთი ვაშლის სუნი მასზე კარგად მოქმედობდაო.

მეგობრებო, თქვენ, რასაკვირველია, გინდათ იცოდეთ როგორ და რა პირობებში მუშაობდნენ ქართველი მწერლებიც. ამის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ.

ვ. სიდამონიძე

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება
ფასი 2 მან

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 5, 1958 Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85

უე 00930, ტირ. 16.500, ხელმოწ. დასაბ. 12/V-58 წ. სტამბის შეკვ. № 222, გამომც. შეკვ. № 31. საქ. კპ. ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.



# გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



ვერტიკალურად: 1. საბავშვო ჟურნალი; 2. სათხილამურო სპორტის სახეობა; 4. მხარე საბჭოთა კავშირში; 5. კომკავშირული ორგანიზაციის შემქმნელი საქართველოში; 6. ხილი; 7. ტბა საქართველოში; 9. გემზე აღმართული ბოძი; 15. თივის დიდი გროვა; 16. მდინარის ერთი ტოტი; 19. ქართული ფილმი; 20. მარტოდმარტო ანუ... 21. კურორტი საქართველოში; 24. ქსოვილი; 25. სამკურნალო საშუალება; 26. ქართული ეროვნული თამაში; 27. „მეოთხე სიმაღლე"-ს ავტორი.

ჰორიზონტალურად: 3. ქართული საბავშვო ჟურნალი; 6. წონის ერთეული; 8. სპორტული ნაგებობა ველოსიპედისათვის; 10. კინოფილმ „მექსიკელის" გმირი; 11. ყვავილი; 12. შეიარაღებული ძალები; 13. მთა თბილისის მახლობლად; 14. სახელმწიფო აზიაში, 17. ხილი; 18. გრძელ მანძილზე მორბენალი; 20. ქიმიური ნივთიერება; 22. მდინარე ციმბირში; 23. ზღვა; 28. მათემატიკის დარგი; 29. ძველი საბერძნეთის კუნძული; 30. მტკვრის შენაკადი; 31. სიგრძის ძველებური საზომი; 32. ვერდის ოპერა.

ჯ. აბაიშვილი

## გამოცანები

1

ავიჭრელე ლალისფერი
კაბა შავი ხალებით,
ყელი კოხტად მოვიღერე,
დავამშვენე ყანები.

2

თუმც ადგილიდან
არ იძვრის იგი,
მაინც მოძრაობს,
მაინც წინ მიდის.

3

დაუფიქრდი გამოცანას,
ადვილია იგი მეტად —
მათგან ერთი ლაპარაკობს,
ორი ისმენს, ორი ხედავს.

4

გამოცნობა იმ ჩიტის
სულ არ არის ძნელი,
სახელს თვითონ იძახის —
თქვენგან პასუხს ველი.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი „პიონერის" №4-ში მოთავსებულ გასართობზე

**პასუხი „გეოგრაფიულ კროსვორდზე"**

1. ტიბრი; 2. პარაგვაი; 3. კონგო; 4. ამური.

**პასუხი „შარადაზე"**

იალალი

**პასუხი „სახუმარო ამოცანაზე"**

სამ წუთში

**პასუხი „ორ თავსატეხზე"**





ფიგურები ხელის აუღებლივ იხაზება ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე.

## თხუთმეტი ხიდი



გაიარეთ თხუთმეტივე ხიდზე ისე, რომ ერთი და იგივე ხიდზე მეორედ არ გადაიაროთ.

მ. ოთაროვი

# პატარა მოქანდაკე

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ბატკანი
დაიღალა

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში კარგად იცნობენ ქანდაკების წრის წევრს, მესამე კლასელ ავთანდილ ანთაძეს. ნიჭიერმა, შრომისმოყვარე ავთანდილმა კარგა ხანია თავისი პედაგოგისა და ტოლების პატივისცემა დაიმსახურა. მის მიერ გამოძერწილი ფიგურები მნახველს იზიდავს დინამიურობითა და სინატიფით.

ვბეჭდავთ ავთანდილის რამდენიმე ნამუშევარს.



თავლიდან გამოუშვეს



მამლუქი



ქართული ჭიდაობა